გაზეთი ბევრია, „ვერსია“ ერთი

ვერსია

ფასი 50 თეთრი

№42 (1068) 20 - 21 აპრილი, 2015 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

მაისში საქართველო ბიზნესის ცენტრად იქცევა

მსოფლიოს ყურადღება თბილისისკენ იქნება მოპყრობილი გვ.2

გრიგოლ ვაშაძეს სახელმწიფოს პირველ პირად ამზადებენ?

„ხელისუფლებაში მოსვლა მისი უდიდებულესობა, ქართველი ხალხის გადასაწყვეტია... ორწელიწადნახევარი „ქართული ოცნება“ ამტკიცებდა, რომ წარსულში კარგი საერთოდ არაფერი მომხდარა, ახლა კი იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ყველა პროექტი, რაც ამ დროის განმავლობაში უაზროდ იყო გაჩერებული, გასაგრძელებელია“

გვ.4-5

არა-ჩვეულებრივი ინტერვიუ

როგორ გადააგდებინა სიგარეტი მეუღლეს და ჩაერთვება თუ არა „ივერიის“ საქმიანობაში ნინო ანანიაშვილი

მოგვიწევს თუ არა ტელევიზორის შეცვლა – როგორ უნდა მივიღოთ ციფრული მაუწყებლობა

საკაბელოს აბონენტებს „სეთ-თოფ ბოქსები“ არ დასჭირდებათ

გვ.6

რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში 43 მილიონი ლარის ინვესტიცია ჩაიდება

გვ.3

პრემიერი ბიზნესმენებს რეგიონში სხვადასხვა პროექტის განხორციელებისკენ მოუწოდებს

როგორ „გადააგდო“ ბურჯანაძის თანაპარტიელმა ბიზნესმენმა თანასაკნელი

„აქედან წადი, ვიდრე ხასიათზე ვარ, თორემ გეფიცები, მაგრად გცემ!“

გვ.8

პუბლიკის ფიქრები

საქართველო მაისში ბიზნესის ცენტრად იქცევა – მსოფლიოს ყურადღება თბილისისკენ იქნება მოპყრობილი

ნინო ბარბაქაძე

13-15 მაისს, კავკასიის რეგიონში პირველად, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის ყოველწლიური შეხვედრა და ბიზნესფორუმი გაიმართება. რა თქმა უნდა, ამ შეხვედრის უმაღლეს დონეზე ჩასატარებლად ქართული მხარე აქტიურად ემზადება, ხოლო ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური საპატიო სტუმრებთან შეხვედრებს უკვე მართავს. ამერიკის შეერთებულ შტატებში ვიზიტისას, ბატონი ნოდარი ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის პრეზიდენტს, სერ სუმა ჩაკრაბარტის შეხვდა. მხარეებმა მომავალ ფორუმზე ისაუბრეს და ოფიციალური განცხადებებიც გააკეთეს.

სერ სუმა ჩაკრაბარტი: „საქართველო ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის საიმედო პარტნიორია. ძალიან მნიშვნელოვანია ის ყოველწლიური შეხვედრა და ბიზნესფორუმი, რომელიც რამდენიმე კვირაში საქართველოში გაიმართება. ჩვენ 1500-მდე ბიზნესმენი, ხელისუფლებისა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელი მოვიწვიეთ, რათა გავეცნოთ საქართველოში განხორციელებულ რეფორმებს, თქვენი ქვეყნის მიღწევებსა და საინვესტიციო შესაძლებლობებს. შარშან ბანკმა წარმატებით განახორციელა 215 მლნ ევროს ღირებულების პროექტები სხვადასხვა სექტორში. აღსანიშნავია, რომ საქართველოში ინვესტირებისთვის კარგი გარემოა“.

ნოდარ ხადური: „ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან მჭიდრო ურთიერთობა გვაქვს. მათი მხარდაჭერით საქართველოში ბევრი პროექტი ხორციელდება, მათ შორის, საკმაოდ დიდი მოცულობის ინვესტიციები — კერძო სექტორში. უახლოეს პერიოდში ბანკი საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში კიდევ რამდენიმე მილიონიანი ინვესტიციის განხორციელებას გეგმავს. ღ-ის ყოველწლიური შეხვედრისა და ბიზნესფორუმის ჩატარება თბილისში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სტიმული და შესაძლებლობა იქნება ჩვენი ქვეყნისთვის, მოიზიდოს ახალი ინვესტიციები“.

სერ სუმა ჩაკრაბარტის გარდა, საქართველოს ფინანსთა მინისტრი მსოფლიო ბანკის მრავალმხრივი საინვესტიციო გარანტიების სააგენტოს (MIGA) ვიცე-პრეზიდენტს, კეიკო ჰონდას შეხვდა. შეხვედრაზე ქვეყანაში მსხვილი უცხოური ინვესტიციების დაზღვევის პერსპექტივასა და ამ კუთხით MIGA-ს მხარდაჭერაზე ისაუბრეს. ბიზნესის დაზღვევა ინვესტორებისთვის ყველაზე თუ არა, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია.

რაც შეეხება ფორუმს, ქართული მხარე უკვე აქტიურად ემზადება ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის ყოველწლიური შეხვედრისა და ბიზნესფორუმის მასპინძლობისთვის. საორგანიზაციო სამუშაოების პირველ ეტაპს, რომელიც პარლამენტისა და მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის ტერიტორიაზე მიმდინარეობს, ღ-ის ყოველწლიური შეხვედრისა და ბიზნესფორუმის ორგანიზების უზრუნველმყოფი სამთავრობო კომისიის წევრები, მედიის წარმომადგენლებთან ერთად, ორი კვირის წინ გაეცნენ. მედიატურს საქართველოს მხრიდან ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მმართველი, ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური, თბილისის მერი დავით ნარმანია, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე ქეთევან ბოჭორიშვილი, მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე ნინო კობახიძე დაესწრნენ.

კომისიის წევრები გარკვეული პერიოდულობით მედიის თანდასწრებით ადგილზე გაეცნობიან მიმდინარე სამუშაოებს, ხოლო იმისთვის, რათა არ დარჩეს არც ერთი კითხვისნიშანი გამჭვირვალობასთან დაკავშირებით, ღია და ხელმისაწვდომი იქნება ყოველწლიური შეხვედრის ფარგლებში განხორციელებული თუ დაგეგმილი ყველა შესყიდვა და ამის შესახებ დეტალურად ეცნობება მედიას. აღსანიშნავია, რომ ყოველწლიური შეხვედრისა და ბიზნესფორუმის მაღალ დონეზე მასპინძლობისთვის, ასევე იგეგმება საინვესტიციო სესიის ორგანიზება, სადაც სტუმრებს საშუალება ექნებათ, გაეცნონ საქართველოს საინვესტიციო, ტურისტულ და კულტურულ შესაძლებლობებს. წელს საქართველო, როგორც ღ-ის ყოველწლიური შეხვედრისა და ბიზნესფორუმის მასპინძელი ქვეყანა, ხდება მსოფლიო მნიშვნელობის ღონისძიებისა და ევროპული ბიზნესის ეპიცენტრი. ქვეყანას 60-ზე მეტი ქვეყნის მაღალი დონის დელეგაცია, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები და 1500-მდე ბიზნესმენი ეწვევა. აღსანიშნავია ისიც, რომ ფორუმის მოსამზადებელი პერიოდისა და მიმდინარეობის ფარგლებში, დასაქმდება ადგილობრივი მოსახლეობა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. ორდღიან საერთაშორისო ფორუმს ყველა წამყვანი საერთაშორისო მედიასაშუალება გააშუქებს, რომელთა მხრიდანაც, ღონისძიებასთან დაკავშირებით, უკვე დიდი ინტერესია.

იმედია, აღნიშნული ფორუმის შემდეგ, უცხოელი ბიზნესმენები საქართველოს ბიზნესპოტენციალით დაინტერესდებიან და არაერთ საინვესტიციო პროექტს განახორციელებენ. საამისოდ საქართველოში ყველა პირობაა.

დიალოგი სკოლაში

ლევან სეფისკვერაძე

— ჩემი მეგობარი კერძო სკოლაში მუშაობს მასწავლებლად და თვეში ხან 2000 ლარზე მეტიც კი გამოსდის. ჩვენ, რაკი ახალგაზრდა მასწავლებლები ვართ, ადამიანებად არ გვთვლიან, თუ როგორაა საქმე?

— ჩვენი სკოლის მფლობელი ამბობს, ფული არ გვაქვს და ხელფასს ვერ გაგიზრდითო. იქნებ, მართლა არ აქვს?!

— ფული თუ არ აქვს, ყოველ წელიწადს ახალ-ახალ მანქანებს რით ყიდულობს? თან როგორ შეიძლება, ფული არ ჰქონდეს, როცა ჩვენი სკოლის მოსწავლეების მშობლები წელიწადში 5 ათას დოლარს იხდიან, შვილებს რომ ასწავლონ. როგორ ფიქრობ, სად მიდის ეს ფული?

— შენც ხომ იცი, ხელფასის მომატებაზე ლაპარაკი როგორ არ უყვართ ჩვენი სკოლის მეურვეებს. შეიძლება, საერთოდ გაგვყარონ აქედან და შარის თავი ნამდვილად არ მაქვს...

— თუ ერთად მოვთხოვთ ხელფასების მომატებას, ვერაფერს გვიზამენ. გავიფიცოთ ერთი კვირა და ძალიან კარგად მოგვიმატებენ.

— მეშინია, სიმართლე რომ გითხრა, ასეთი ამბების, მაგრამ თუ გავიფიცეთ, როგორ ფიქრობ, რამდენი უნდა მოვითხოვოთ ხელფასი?

— მინიმუმ, 1000 ლარი!

— გამოდის, თითოეული მასწავლებელი ხელფასის 500 ლარით მომატებას ვითხოვთ. ბევრი ხომ არაა, იქნებ თავიდან ნაკლები მოგვეთხოვა?

— მაინც, რამდენი?

— ვთქვათ, 100-200 ლარი.

— ახლა რაც გაქვს, ეს ხელფასი გყოფნის?

— დამცინი? ვის უნდა ეყოს 400-500-ლარიანი ხელფასი?! მით უმეტეს, ჩემი ქმარი ჯერ კიდევ უმუშევარია და მაგისი სამსახურის დაწყება, მგონი, უფრო ძნელია, ვიდრე ჩვენი ხელფასების მომატება.

— ჰოდა, ყველა ეგრე ვართ. ამ ხალხს ხომ ხედავ, საკუთარი სურვილით არ აპირებენ ხელფასის მომატებას და...

— მარტო ხელფასიც არაა პრობლემა... ახალი წიგნები რომ გამოდის, მასწავლებლები საკუთარი ხარჯებით რატომ უნდა ვყიდულობდეთ? ჯერ, ისედაც რა ხელფასი გვაქვს და ეგეც თუ წიგნებში დავხარჯეთ, გამოდის, ტყუილად გვივლია სამსახურში.

— თუ სკოლის მეურვეებთან შევალთ, ეგეც უნდა მოვითხოვოთ. ზოგიერთ სკოლას საკუთარი ავტობუსიც კი ემსახურება და მასწავლებლებს გზის ფულიც არ ეხარჯებათ. მე, ხომ იცი, შორიდან დავდივარ, ხან სამი ტრანსპორტის გამოცვლა მიწევს, სკოლამდე რომ მოვაღწიო. ესეც დიდი პრობლემაა ჩემთვის.

— ნორმალური დაზღვევაც არ გვაწყენდა. იმ დაზღვევით, რაც ახლა გვაქვს, ექიმთან რომ მიხვიდე, აზრი არ აქვს. მხოლოდ 20 თუ 30%-ს ფარავენ წამლებისა და მკურნალობის.

— ჩამოვწეროთ ყველაფერი, მოთხოვნებად ჩამოვაყალიბოთ და მომავალ კვირას მივიდეთ ჩვენი სკოლის მეურვეებთან. სხვა თუ არაფერი, იქნებ, იმას მაინც მიხვდნენ, რომ ჩვენც გვაქვს უფლებები.

— მოთხოვნებს ხვალვე ჩამოვწერ და სხვა მასწავლებლებსაც ვაჩვენოთ.

— მთავარია, არ შეგვეშინდეს!

— და მაინც, რომ მეშინია?

პოლიციამ ხაშურში მომხდარი მკვლელობა ცხელ კვალზე გახსნა

შსს-ს შიდა ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს ხაშურის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ხაშურში მცხოვრები, 1991 წელს დაბადებული ჯუდუ ო. განზრახ მკვლელობის ბრალდებით ცხელ კვალზე დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ მყოფმა ბრალდებულმა ხაშურში, ურთიერთშელაპარაკებისას, ცივი იარაღით გულმკერდის არეში სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა ასევე ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ მყოფ, 1982 წელს დაბადებულ მიხეილ გ-ს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. მიხეილ გ. საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა ჯუდუ ო. ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, მომხდარიდან რამდენიმე საათში, ხონში დააკავეს. დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

გამოძიება განზრახ მკვლელობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 108-ე მუხლით, რაც 7-დან 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს).

„ვერსიანიუსი“

სასაზღვრო პოლიციის №5 სამმართველომ ლაგოდეხელ მოსწავლეებს უმასპინძლა

შსს-ს სასაზღვრო პოლიციის უფროსის ზურაბ გამეზარდაშვილის ინიციატივით, სასაზღვრო პოლიციის 5 სამმართველოს (ლაგოდეხი) ადგილობრივი საჯარო სკოლის უფროსკლასელი მოსწავლეები ეწვივნენ. სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლებმა, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის მიერ განხორციელებული პროგრამის – „პროფესიული ორიენტაცია და კარიერის დაგეგმვა“ – ფარგლებში, მოსწავლეებს სასაზღვრო პოლიციის მუშაობის სპეციფიკა გააცნეს. მესაზღვრეებმა მომავალ აბიტურიენტებს განხორციელებული და დაგეგმილი პროექტების შესახებ ინფორმაცია მიაწოდეს და მათ კითხვებს უპასუხეს.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის პროგრამის „პროფესიული ორიენტაცია და კარიერის დაგეგმვა“ მიზანია დამამთავრებელი კლასების მოსწავლეებისთვის პროფესიის შერჩევაში დახმარება.

„ვერსიანიუსი“

მაია მიშელაძე
593-51-90-12

რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში 43 მილიონი ლარის ინვესტიცია ჩაიდება

პრემიერი ბიზნესმენებს რეგიონში სხვადასხვა პროექტის განხორციელებისკენ მოუწოდებს

საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით, პროექტი „ძლიერი რეგიონი — ძლიერი საქართველოსთვის“ დაიწყო. პროექტის ფარგლებში, პრემიერ-მინისტრი, ამჯერად, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონს ესტუმრა. „ძლიერი რეგიონი — ძლიერი საქართველოსთვის“ საქართველოს რეგიონების სტრატეგიულ და ეკონომიკურ განვითარებას გულისხმობს. მთავრობის ხელშეწყობით, პროექტი შეჩერებული და მიტოვებული საწარმოების აღდგენა-ამუშავებას, ასევე რეგიონების მოსახლეობის დასაქმებას შეუწყობს ხელს.

პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, „ძლიერი რეგიონი — ძლიერი საქართველოსთვის“ მთავრობის ხედვას გამოხატავს, რომელსაც ქვეყნის რეგიონების სტრატეგიული და ეკონომიკური განვითარება, ასევე ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმება უნდა მოჰყვეს. რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში ვიზიტის ფარგლებში, ირაკლი ღარიბაშვილმა იმ პროექტებზე გაამახვილა ყურადღება, რომლებიც უკვე განხორციელდა.

სოფლის მეურნეობა საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია. ხელისუფლება მაქსიმალურად უწყობს ხელს ფერმერებსა და გლეხებს. პრემიერ-მინისტრის განცხადებით, მხოლოდ რაჭა-ლეჩხუმში, შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში, 5 მილიონ ლარზე მეტი 22 სესხი გაიცა; გადაიარაღდა 5 საწარმო, რომლებმაც 2 მილიონ ლარზე მეტი დაფინანსება მიიღეს:

„საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის ფარგლებში, მიმდინარე წელს, 23 328 ბენეფიციარისთვის, 1 მილიონ ლარზე მეტი ღირებულების სარგებელია გამოყოფილი. 2014 წელს, 24 000-მდე ბენეფიციარმა, სასოფლო-სამეურნეო საქონლის სარგებლისთვის, 1 მილიონ ლარზე მეტი დაფინანსება და 84 000 ლარზე მეტი სარგებელი მიიღო მიწის სამუშაოების სახით. 2013 წელს, 20 938-მა ბენეფიციარმა 3 მილიონ ლარზე მეტი სარგებელი მიიღო სასოფლო-სამეურნეო საქონლის, ხოლო 45 000-ზე მეტი სარგებელი — მიწის სამუშაოების სახით. რაჭა-ლეჩხუმის რეგიონში, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსი 65 კოოპერატივს მიენიჭა. მათი საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია მევენახეობა და მეფუტკრეობა. 10 კოოპერატივს დავეხმარეთ 21 მცირეგაბარიტიანი აგროტექნიკის კომპლექტითა და 18 ხელის სათესით“.

პრემიერ-მინისტრმა იმ შედეგებზეც ისაუბრა, რასაც რეგიონმა მეღვინეობა-მევენახეობის დარგში მიაღწია. ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, 2014 წელს, რაჭაში 1 700 ტონა ყურძენი გადამუშავდა და ადგილობრივმა მოსახლეობამ 13 მილიონი ლარის შემოსავალი მიიღო. 2013 წელს, 1 000 ტონამდე ყურძენი გადამუშავდა, მოსახლეობის შემოსავალი კი 8 მილიონი ლარი იყო. ღარიბაშვილს იმედი აქვს, რომ ამ მხრივ, წელს, რაჭა-ლეჩხუმს უკეთესი შედეგები ექნება:

„მოსახლეობის ინტერესების დაცვის მიზნით, წელს ისევე, როგორც შარშან, რაჭაში რთვლის დაწყებამდე გაცილებით ადრე, მარშრუტებს გავაკონტროლებთ და კონტროლი ყურძნის შეტანაზეც გაძლიერდება. ეს ყველაფერი გარანტიას მოგვცემს, „ხვანჭკარის“ სანედლეულო ბაზის ჯიშური სისუფთავე დავიცვათ. ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ, რათა „ხვანჭკარა“, რომელიც, თამამად შეიძლება ითქვას, საქართველოს ერთ-ერთი მთავარი სავიზიტო ბარათია, სულ უფრო მეტი ნდობით სარგებლობდეს და მისი ფალსიფიცირების არც ერთი შემთხვევა არ დაფიქსირდეს. 2014 წელს, მევენახეობა-მეღვინეობის დარგის განვითარებისთვის, უმნიშვნელოვანესი პროგრამის — ვენახების კადასტრის განხორციელება სწორედ რაჭა-ლეჩხუმიდან დავიწყეთ. ანალოგიური პროგრამა საქართველოში ჯერ არ განხორციელებულა. კადასტრის პროგრამის დასრულების შედეგად, მევენახეებს მარტივად შეეძლებათ კომუნიკაცია კერძო კომპანიებთან, გამარტივდება ყურძნის ჩაბარება, გაჩნდება ზუსტი სტატისტიკა, გამოჩნდება ვენახების მდგომარეობის დინამიკა“.

რაც შეეხება ინფრასტრუქტურულ პროექტებს 2013-2014 წლებში, რეგიონში, ჯამურად, 62 კილომეტრზე მეტი გზის რეაბილიტაცია განხორციელდა, ჩატარდა ნაპირსამაგრი სამუშაოები, ლენტეხისა და ამბროლაურის წყალმომარაგების სისტემების რეაბილიტაცია დასრულდა, ხელისუფლებამ ონის წყალსადენი სისტემის სათავე ნაგებობა აღადგინა, ამბროლაურსა და ონში, მყარი ნარჩენების მართვის პროექტები განხორციელდა. მისი თქმით, მთავრობის ხელშეწყობით, ონის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის პროექტი გრძელდება. გარდა ამისა, 2015 წელს, 14 კილომეტრზე მეტი გზის რეაბილიტაციაა დაგეგმილი, ლენტეხის მუნიციპალიტეტში კი ნაპირსამაგრი სამუშაოები შესრულდება:

„ენერგეტიკულ პროექტებს შორის, გამორჩეულია პროექტი, რომლის შედეგადაც, ქალაქი ონი და ონის მუნიციპალიტეტის სოფლები — ხურუთი, ლაჩთა, შეუბანი, ღარი და ნიგვზნარა სრულად გაზიფიცირდება. ამ პროექტის შედეგად, ბუნებრივი აირის ქსელში ჩართვის შესაძლებლობა მიეცემა ონის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ 2 400 ოჯახს. ქალაქ ონისა და მისი მიმდებარე სოფლების სრული გაზიფიცირების სამუშაოები 2015 წლის ოქტომბერში დასრულდება. გაზიფიცირების ამ პროექტის ფარგლებში, მიმდინარე წლის ბოლოს, საქართველოს მასშტაბით, 75 სოფელში დასრულდება სამუშაოები. ამისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან 20 მილიონი ლარია გამოყოფილი“.

ჯანდაცვის პროექტებზე საუბრისას, ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, რომ რეგიონის 4 რაიონულ ცენტრს, ახალი სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანები გადაეცა და 4 ახალი ამბულატორია გაიხსნა. 2015 წლის მაისში, ლენტეხში ახალი, 15-საწოლიანი კლინიკის მშენებლობა დაიწყება და უკვე წლის ბოლოს, ადგილობრივებს ახალი საავადმყოფო ექნებათ. ხელისუფლებამ 71 სკოლა და ერთი პროფესიული სასწავლებელი აღადგინა. მიმდინარე წელს, 19 სკოლისა და ერთი პროფესიული სასწავლებლის რეაბილიტაციაა დაგეგმილი.

2016 წელს, ონში, იუსტიციის სახლის, ხოლო ცაგერში — საზოგადოებრივი ცენტრის მშენებლობა იგეგმება. ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, საქართველოს მთავრობა, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მიმართულებით, ინტენსიურად მუშაობს. 2014 წელს, ხვამლის მთის კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით, ღირებული ობიექტების ინვენტარიზაცია ჩატარდა. ტოკიოს ტექნოლოგიის ინსტიტუტთან ერთად, ნიკორწმინდის ტაძრის მდგომარეობა გამოიკვლიეს.

ამის შემდეგ, პრემიერ-მინისტრმა მთავრობის მიერ წამოწყებულ ახალ პროექტზე „ძლიერი რეგიონები — ძლიერი საქართველოსთვის“, გაამახვილა ყურადღება. მისი თქმით, რესურსების თვალსაზრისით, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი ძალიან საინტერესო რეგიონია. რეგიონს კარგი შესაძლებლობები აქვს სოფლის მეურნეობის, საწარმოთა განვითარების და ტურიზმის მიმართულებით.

რაც შეეხება კონკრეტულ რესურსებსა და წარმოების განვითარების მონაცემებს, ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, ამბროლაურს სოჭის სანერგე მეურნეობების განვითარების, ასევე რაჭული ლორის წარმოების რესურსი აქვს; ლენტეხს — ოქროს მოპოვების რესურსი; ონს — ოქროს მოპოვების, რაჭული ლორის წარმოების, „უწერის“ მინერალური წყლის ჩამოსხმისა და ზოგადად, შოვში არსებული მინერალური წყლების პოტენციალის გამოყენების რესურსი. ცაგერში, მინერალური წყლების ბაზაზე, შესაძლებელია, როგორც მათი მომპოვებელი, ასევე ჩამოსასხმელი საწარმოების შექმნა. რეგიონში არსებულ ყველა რაიონს ხე-ტყის გადამუშავების, ავეჯის წარმოების, ინერტული მასალების მოპოვების, მტკნარი წყლის ჩამოსხმის, ასევე რძის მიღება-გადამუშავების რესურსი გააჩნია.

როგორც პრემიერი აცხადებს, **„რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი იმის საშუალებას გვაძლევს, საინტერესო ბიზნესიდეები განხორციელდეს. ამ რეგიონში მიმდინარე და განსახორციელებელი პროექტების საინვესტიციო ღირებულება 43 მილიონ ლარამდეა. ეს ინვესტიციები იდება ჰიდროენერგეტიკულ პროექტებში, ღვინის ტურიზმში, მევენახეობაში, სასტუმროების მშენებლობაში, სამაცივრე მეურნეობასა და მეცხოველეობაში. დამეთანხმებით, ასეთი ინტერესი უსაფუძვლო ვერ იქნება, ამიტომ მინდა, მოვუწოდო ჩვენს ბიზნესმენებს, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში სხვადასხვა ბიზნესპროექტი განახორციელონ“.**

მისივე განცხადებით სახელმწიფო მხარს დაუჭერს მეწარმეებს, როგორც თანადაფინანსებით, ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფით, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზებით, ასევე კომუნიკაციებითა და ბუნებრივ რესურსებზე წვდომის უზრუნველყოფითაც. პრემიერ-მინისტრი დარწმუნებულია, რომ ბიზნესმენები მთავრობის ამ შეთავაზებას მიიღებენ და რეგიონში მნიშვნელოვან პროექტებს წამოიწყებენ. ღარიბაშვილის განცხადებით, ეს მომგებიანი იქნება, როგორც ბიზნესისთვის, ასევე ქვეყნისა და მოსახლეობისთვის.

„ძლიერი რეგიონები — ძლიერი საქართველოსთვის“ გარდა, მთავრობამ უკვე დაიწყო მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროექტი — „აწარმოე საქართველოში“. პრემიერ-მინისტრის განცხადებით, ეს ძალიან მნიშვნელოვანი პროექტია, რომელიც მცირე მეწარმეებს ბიზნესის განვითარებაში დაეხმარება. პროგრამის ფარგლებში, მთელი საქართველოს მასშტაბით, 3 000-მდე ბენეფიციარი მიიღებს დაფინანსებას, შეიქმნება 4 700-მდე ახალი სამუშაო ადგილი, ბიზნესის კეთების უნარებს კი 4 500-მდე ბენეფიციარი აიმაღლებს:

„დამეთანხმებით, ეს ძალიან კარგი შესაძლებლობაა, რათა მიკრო და მცირე ბიზნესში სულ უფრო მეტი ადამიანი ჩაერთოს. ეს არის ჩვენი მთავრობის მიერ გადადგმული ნაბიჯი, რომელიც, მჯერა, რეგიონებში ხელშესახებ შედეგებს მოგვიტანს. „აწარმოე საქართველოში“ პროექტის ფარგლებში, ადგილობრივებს საკუთარი საქმის წამოწყების შესაძლებლობა ექმნებათ, მეტიც — ისინი ახალ სამუშაო ადგილებსაც შექმნიან. ყოველ ასეთ პროექტზე დიდ იმედს ვამყარებ და ეს განსაკუთრებით, მაღალმთიან რეგიონებს ეხება. მჯერა, ამ ულამაზეს მხარეს გამოვაცოცხლებთ, სადაც ცხოვრება იძულებითი კი არა, სასურველი და საინტერესო გახდება და ჩვენი მიზანიც სწორედ ესაა!“

ვერსიანიუსი

ილია მეორე: „საშიშია პიროვნება, რომელიც ფიქრობს, რომ მხოლოდ მასშია ჭეშმარიტება!“

საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა, ილია მეორემ საკვირაო ქადაგებისას კატეგორიულ აზროვნებაზე იქადაგა და მრევლს მოუწოდა, ისწავლონ ერთმანეთის მოსმენა და ერთმანეთთან საუბარი ისე, რომ ეს ჩხუბში არ გადაიზარდოს:

„გიფიქრიათ, ბზობა, გოლგოთა, აღდგომა და ამაღლება რატომ არის ერთმანეთთან ახლოს და რატომ ცვლის ერთმანეთს? სიხარულს ძალიან ხშირად მწუხარება მოსდევს, მწუხარებას — სიხარული. ასე იცვლება სიხარული და მწუხარება ერთმანეთში. ძველი რომაელები ამბობდნენ: ადამიანი ადამიანისთვის მგელია. რა უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ ადამიანი ადამიანისთვის მგელი არ იყოს და იყოს ძმა და მეგობარი?! ერთ დიდ პიროვნებას ჰკითხეს, ყველაზე საშიში რა არისო. ის დაფიქრდა და უპასუხა: ყველაზე საშიში კატეგორიული აზროვნებაა, როცა ადამიანი კატეგორიულად აზროვნებს, ფიქრობს, რომ ის არის მართალი და ყველა მტყუანი, როცა სიმართლეს ხედავს მხოლოდ თავის თავში, თავის მოქმედებაში და აზროვნებაში. საშიშია ის პიროვნება, რომელიც ფიქრობს, რომ მხოლოდ მასშია ჭეშმარიტება. აი ეს ქმნის გარემოებას, როცა ადამიანი ადამიანისთვის მგელია. უდიდესი თვისებაა, როცა ადამიანს შეუძლია მოუსმინოს სხვა ადამიანს. უდიდესი დადებითი თვისებაა, როცა ადამიანი უსმენს სხვას და ხშირ შემთხვევაში აღიარებს, რომ ის არ იყო სწორი. ჩვენ უნდა ვიფიქროთ ამაზე. უნდა ვიფიქროთ, რომ მხოლოდ შენში არ არის ჭეშმარიტება. ამიტომ როცა ვსაუბრობთ, ჩვენი საუბარი არ უნდა გადაიზარდოს უხეშ კამათში, არ უნდა გადაიზარდოს ყვირილში და მტრობაში. რად გინდა ისეთი ჭეშმარიტება, თუკი მეგობარს დაკარგავ? ვეცადოთ, ადამიანი ადამიანისთვის იყოს ძმა და მეგობარი“.

რიჩარდ ნორლანდი: „რელიგიათაშორის დიალოგი უმნიშვნელოვანესია“

საქართველოს ნამდვილად შეუძლია იამაყოს იმ შემწყნარებლობის საუკუნოვანი ისტორიული ტრადიციით, რომელიც მას აქვს და რომელიც არის მოდელი მშვიდობიანი თანაარსებობისა სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენლებს შორის, — ამის შესახებ ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა, რიჩარდ ნორლანდმა ბათუმში კონფერენციაზე „ბათუმის საერთაშორისო ფორუმი — რელიგია და მშვიდობა“ განაცხადა. როგორც ელჩმა ჟურნალისტებს განუმარტა, ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენების ფონზე საქართველოში რელიგიათაშორის დიალოგი უმნიშვნელოვანესია. რიჩარდ ნორლანდის თქმით, უნდა გაორმაგდეს ძალისხმევა, რომ აღმსარებლობისა და განათლების უფლება იყოს უზრუნველყოფილი.

„ინტერპრესნიუსი“

გრიგოლ ვაშაძეს სახელმწიფოს პირველ პირად ამზადებენ?

როგორ გადააგდებინა სიგარეტი მეუღლეს და ჩაერთვება თუ არა „ივერიის“ საქმიანობაში ნინო ანანიაშვილი

ვანო პავლიაშვილი

...ე.წ. მისაღებ ოთახში ხალხმრავლობაა... „ივერიის“ წევრებს დაუპატიჟებელი სტუმარი ვგონივარ და გაოცებულნი მიყურებენ... სათათბირო მაგიდის თავში საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი, ამჟამად კი, „ივერიის“ ერთ-ერთი ლიდერი ზის... ჯიქურ ვეუბნები: ვანო ვარ, პავლიაშვილი, შეხვედრა ორ საათზე დავთქვით-მეთქი. დიახ, ბატონო ვანო, კეთილი იყოს თქვენი ფეხი, — მპასუხობს გრიგოლ ვაშაძე და მთავაზობს, კარგი ამინდია, ვერანდაზე დავსხდეთო... მაშ, ასე: გაზაფხულის მშვიდი შუადღე... სიგარა, სიგარეტი და... არააგრესიული საუბარი საქართველოს წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე...

— ბატონო გრიგოლ, მშვენიერი ოფისი გაქვთ. ვიღაცები პოლიტიკური დევნით აპელირებენ. „ივერია“ ყოფილ ხელისუფლებასთან ასოცირდება. ჰოდა, ასეთი კარგი ოფისი როგორ იშოვეთ?

— ეს ჩვეულებრივი საცხოვრებელი ბინაა, რომელიც ვიქირავეთ და ოფისად გადავაკეთეთ.

— ანუ „ივერიისთვის“ მუშაობაში ხელი არავის შეუშლია?

— არა, არა...

— მაშასადამე, ქვეყანაში პოლიტიკური დევნა არაა!

— ამას ვერ ვიტყვი. „ივერიისთვის“ ხელი არავის შეუშლია, თორემ ხელის შეშლისა და დევნის მაგალითები როგორ არ არის.

— „ივერიაზე“ პოლიტიკურ კულუარებში უამრავი მოსაზრება არსებობს. აღარ მივედ-მოვედები და პირდაპირ გკითხავთ: ახლა საქართველოს მომავალ პრეზიდენტს ან, სულაც, პრემიერს ველაპარაკები?

— არა! ბატონო ვანო, აბსოლუტურად გულახდილად გეუბნებით — „ივერია“ სხვა დანარჩენისგან იმით განსხვავდება, რომ შეიქმნა, როგორც გაზეთი. პოლიტიკაში წასვლა არავის უნდოდა და, შესაბამისად, არც პირადი პოლიტიკური გეგმა მაქვს. ჩვენი მთავარი მიზანი იყო, ქართულ მედიასივრცეში ის რესურსი გაჩენილიყო, სადაც პროფესიონალები მკითხველს მოუყვებოდნენ, პერსპექტივაში რას ნიშნავს ახალი ამბავი, რომელიც მათ გაიგეს.

— მედია ახალ ამბებს „ივერიამდეც“ აშუქებდა და „ივერიის“ მერეც აშუქებს...

— დააკვირდით მედიასივრცეს: ფაქტს მშრალად იტყობინება და ამას ანალიზი არასოდეს მოსდევს...

— ბატონო გრიგოლ, ადამიანებმა დასკვნა თავად უნდა გააკეთონ...

— კი, მაგრამ, ახალ ამბავთან ერთად, ანალიზიც უნდა მიაწოდო. მაგალითად, ყბადაღებულ ტერორისტულ და არაადამიანურ „აი-სი-სიზე“ „ივერია“ წელიწადნახევარია წერს...

მოკლედ, ჩვენ პოლიტიკური ორგანიზაცია კი არა, საზოგადოებრივი მოძრაობა ვართ, ამიტომ კითხვაზე, რომელიც პირად ამბიციებს ეხებოდა, მარტივად გიპასუხებთ: ჩვენი საქმეა, ქვემოდან შეიქმნას ორგანიზაცია, რომლის წევრებიც წესდებას, პროგრამასა და მმართველ ორგანოებს განსაზღვრავენ და დაამტკიცებენ.

საგარეო საქმეთა მინისტრს სიტყვას ტელეფონის ზარი აწყვეტინებს. მთხოვს, ფირჩამწერი გავთიშო... სატელეფონო დიალოგი რამდენიმე წამს გრძელდება, რომლის დასრულების შემდეგაც თანამოსაუბრე მეუბნება, ჩემი საყვარელი მეუღლე იყო და აუცილებლად უნდა დავლაპარაკებოდიო...

— ქალბატონი ნინო ხშირად გირეკავთ?

— კი.

— გაკონტროლებთ თუ თქვენთან შეუთანხმებლად არაფერს აკეთებს?

— ჩემთან შეთანხმების გარეშე რომ არაფერს აკეთებდეს, მუშაობას ვერ შეძლებდა. ორივე ავტონომიურ რეჟიმში ვართ, მაგრამ დღის განმავლობაში საყვარელი ადამიანის ხმა ხომ უნდა გაიგო?!

— წლების განმავლობაში, ნინო ანანიაშვილის ჩრდილქვეშ იყავით...

— მინდა გითხრათ, ძალიან ბედნიერი დრო იყო — დედა-ჩემისა და სიდედრის გარდა, ჩემი არსებობა არავინ იცოდა. ეს შეგნებული არჩევანი იყო.

— და ამ შეგნებულ არჩევანზე უარი რატომ თქვით?

— უარი იმიტომ ვთქვი, რომ პრეზიდენტმა სახელმწიფო სამსახურში დაბრუნებაზე დამითანხმა.

— როგორ დაგითანხმათ და, საერთოდ, საიკაშვილმა ნინოსგან გაგიცნოთ?

— ნინოსგან პირადად გამიცნო, თუმცა ჩვენი ოჯახები ერთმანეთს, დაახლოებით, 30 წელია იცნობენ... რაც შეეხება დათანხმებას, 2008 წლის თებერვალში მითხრა, საქართველო კატაკლიზმების წინაშე დგას და ამ დროს დივანზე ჯდომა, კარგი სპექტაკლების ყურება და ცხოვრებით ტკბობა სირცხვილიაო. ამ არგუმენტმა გამტეხა.

— ამ დროს, თუ არ ვცდები, რუსეთის საგარეო უწყების თანამშრომელი იყავით, არა?

— რუსეთის საგარეო უწყებაში არასოდეს მიმუშავია. 1981-დან 1988 წლის 1 ივლისამდე საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ორგანიზაციების განყოფილებაში ვმუშაობდი.

— ე. ი. წითელი ბეგრაუნდი გაქვთ!

— დიახ.

— საბჭოთა კავშირის საგარეო უწყებაში როგორ მოხვდით?

— 1976 წელს, საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტის ანუ სახელგანთქმული „მგიმო“-ს სტუდენტი გავხდი, რომლის სამუდამოდ მადლობელი ვიქნები — თუკი ცხოვრებაში რამე ვიცი, იქ მასწავლეს. საერთოდ, ვისაც განათლება უნდოდა, ეს ინსტიტუტი ბრწყინვალე განათლებას იძლეოდა და რაც მასწავლეს, არაფერი დაკარგულა — ყველაფერი გამომადგა.

— უნდა ჩაგეკითხოთ: „მგიმო“-ს, როგორც ამბობენ, საბჭოთა სპეცსამსახურები აკონტროლებდნენ და მათ გარეშე იქ ვერავინ ხვდებოდა...

— სრული სისულელეა... ეს ყოველთვის საგარეო საქმეთა სამინისტროს უწყებრივი ინსტიტუტი იყო, საიდანაც 80%-ზე მეტი საგარეო საქმეთა სამინისტროში მიდიოდა, ნაწილი — აკადემიურ ინსტიტუტებში.

— სპეცსამსახური თქვენით არასოდეს დაინტერესებულა?

— არა. არ დაგავიწყდეთ, რომ ჯერ ერთი, ქართველი ვარ.

— ეს რა შუაშია? არ გახსოვთ, საბჭოთა „კაგებე“ სწორედ ქართველმა ლავრენტი ბერიამ შექმნა...

— საბჭოთა სპეცსამსახურები ბერიამ კი არა, იმპერატორის ყოფილმა ჩინოვნიკებმა და ებრაელმა რევოლუციონერებმა შექმნეს. მეორეც, სპეცსამსახურები მხოლოდ იმასთან მიდიან, ვისაც საამისოდ მკვეთრად გამოხატული სურვილი და მიდრეკილება აქვს. მთელი ცხოვრება მეზიზღებოდა ეს ორგანიზაციები, საგარეო საქმეთა სამინისტროსთვის ვემზადებოდით. 1981 წელს, განაწილებისას, არჩევანი მქონდა — რადგან პორტუგალიური ვიცოდი, ან ბრაზილიაში, საელჩოში უნდა წავსულიყავი, ან, იმის გამო, რომ საერთაშორისო სამართლის სპეციალისტი ვარ — საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ორგანიზაციების დეპარტამენტში.

— ბრაზილია არ სჯობდა?

— არა.

— ბოლოს და ბოლოს, ნახავდით, „რკინის ფარდის“ მიღმა რა ხდებოდა...

— ბატონო ვანო, ყველაზე მთავარი ინტერესი ხომ ისაა, რაც საქმეს მოაქვს. მრავალმხრივი დიპლომატია ძალიან მაინტერესებდა — გამიმართლა და 1982 წელს, ჟენევის განიარაღების კომიტეტში საბჭოთა კავშირის დელეგაციის წევრი გავხდი, სადაც ჩემს მასწავლებელს, თბილისელ ვიქტორ ისრაელიანს შევხვდი, რომელიც ამ კომიტეტში საბჭოთა კავშირის წარმომადგენელი იყო... 1988 წელს კი განცხადება დავწერე და საგარეო საქმეთა სამინისტროდან წავედი, რადგან ვიცოდი, საბჭოთა კავშირისგან აღარაფერი დარჩებოდა.

— წინდახედული ყოფილხართ...

— დიახ.

— 1988 წლამდე კლასიკური კომუნისტი და საბჭოთა ადამიანი იყავით?

— არა...

— დისიდენტი იყავით?

— ნამდვილად არა... თავისუფალი კი ყოველთვის ვიყავი. ერთ-ერთ კონფერენციაზე, სადაც ამბობდნენ, კოოპერატიული მოძრაობა საბჭოთა კავშირს დაანგრევსო, მაშინდელი სსრკ-სთვის ძალიან არაპოპულარული რამ ვთქვი: საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე 35-მდე მიძინებული ეთნოკონფლიქტია, რომელიც გაცილებით საშიშია-მეთქი.

— არ ჩაგქოლეს?

— ჩამქოლეს და „რეკომენდაცია“ მომცეს, საგარეო საქმეთა სამინისტროდან წავსულიყავი.

— ეს „მგლის ბილეთი“ იყო?

— არა. დიპლომატიურ აკადემიაში გადავედი...

— ისევ საქართველოს უახლეს ისტორიას დავუბრუნდეთ, როცა საიკაშვილმა საქართველოში ჩამოსვლაზე დაგითანხმათ, რუსეთის მოქალაქე იყავით...

— 2007 წლიდან — საქართველოსიც...

— როგორც კი ჩვენი მთავრობის წევრი გახდით, რუსეთის მოქალაქეობაზე უარი რატომ არ თქვით? სხვათა შორის, მაშინდელი ოპოზიცია ამას ხშირად გაძახებ-გახსენებდათ...

— კარგია, რომ ქექვის მიუხედავად, წამოსაძახებელი სხვა ვერაფერი მოძებნეს. მეორეც, რუსეთის მოქალაქეობა არ მიმიღია.

— აბა?

— 1991 წელს, როცა საბჭოთა კავშირი ოფიციალურად დაიშალა და რუსეთის ფედერაცია შეიქმნა, მე და ნინო ნიუ იორკში ვიყავით. რუსეთის ფედერაციამ გამოაცხადა — ყველა, ვინც რუსეთის ტერიტორიაზეა რეგისტრირებული, თუ საწინააღმდეგო არაფერი აქვთ და სამი თვის განმავლობაში განცხადებას არ დაწერს, ავტომატურად, ფედერაციის მოქალაქე გახდებაო, მაგრამ ჩვენ ნიუ იორკში ვიყავით და განცხადების დაწერის შესაძლებლობა არც გაგვიგია.

— ეს გავიგე, მაგრამ რუსეთის მოქალაქეობაზე უარი, თუნდაც, აფხაზეთის ომის დროს ან შემდეგ, პროტესტის ნიშნად, რატომ არ თქვით?

— იმიტომ, რომ ყველას გვქონდა ილუზია, შეიძლება, ვითარება გამოსწორდეს, რუსეთში ქართული ხმა უნდა ისმოდესო, მაგრამ ეს ილუზია მე და ნინოს 2004 წელს, ე.წ. სამხრეთ ოსეთში მომხდარი მოვლენების შემდეგ, მოგვესპო. კიდევ ერთი მიზეზი დიდი თეატრი იყო, რომელიც ნინოს სახლი გახლდათ — იქ ის ხალხი მუშაობდა, ვინც ნინო გაზარდა და მეორე დედობა გაუწია.

— ანუ, ერთგვარად, როგორც იტყვიან, ვალში იყავით?

— დიახ. რუსეთის მოქალაქეობაზე უარი რომ მეთქვა, პრობლემები ნინოსაც შეექმნებოდა, მისი გზა ვარდებით მოფენილი არც ისე ყოფილა — დიდ თეატრში ქართველი სუპერვარსკვლავი და პრიმაბალერინა ბევრს არ ახარებდა.

— ამ პრიმაბალერინას საქართველოში დაბრუნებას დიდი ვნებათაღელვა მოჰყვა. ამისთვისაც მზად იყავით?

— ჯერ წინა კითხვა დავამთავროთ: 2004 წელს, ერთმანეთს ვუთხარით, საქართველოსა და რუსეთს შორის ომი გარდუვალია, ამიტომ საქართველოში უნდა წავიდეთო. ყველაფერი გავყიდეთ და წამოვედით, თან პრეზიდენტმა ნინოს ოპერისა და ბალეტის თეატრის მიხედვა იგივე არგუმენტით სთხოვა, ყველაფერი კარგად რომ იქნება და მაშინ ჩამოხვალ, ეგ რა ჩამოსვლაა, ახლა ჩამოდი, როდესაც სამი მოცეკვავე ბალეტის ერთ წყვილ ფეხსაცმელს იყოფსო... 2004-ში დავბრუნდით და ვიცოდით, რომ რუსეთში ჩვენი ისტორია დამთავრდა.

— თუმცა, მოქალაქეობაზე უარი მაინც არ თქვით!

— ძალიან ბევრი საქმე დაუმთავრებელი დაგვრჩა — ქვეყანაში 30-წლიანი ცხოვრების შემდეგ, ყველაფრის ერთ წამში მოთავება ადვილი არაა. 2009 წელს, მოქალაქეობაზე უარის თქმის განცხადება კონვერტში ჩავდე პასპორტთან ერთად და ბატონ მედვედევს გავუგზავნე, რომელიც მაშინ პრეზიდენტი იყო. წელიწადზე მეტი დასჭირდათ, რომ პასუხი გაეცათ. ბოლოს, ძალიან სასაცილო პასუხი გამომიგზავნეს, რომელიც ახლაც საგარეო საქმეთა სამინისტროში დევს — არაა ნახსენები, რომელი ორგანოს რომელი ბრძანების საფუძველზე გააუქმეს რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობა.

— გამოდის, რუსებს არ ეთმობოდით?

— არ ვიცი... მერე, რამდენიმე რუსმა დიპლომატმა მითხრა, ადრე თუ გვიან, დალაპარაკება ისევ მოგვიწევს და იქნებ, რუსეთის მოქალაქეობა შეგენარჩუნებინაო.

რაც შეეხება „პიონერთა სასახლის“ გარშემო განვითარებულ ამბებს, ეს სასახლე, ნინოს კი არა, ქორეოგრაფიულ სასწავლებელს ჭირდებოდა.

— ალბათ, გახსოვთ მაშინდელი ხუმრობა, ყველას ბალეტს გვაცეკვებენო...

— მაშინ ნინო ორსულად იყო და ყველაფერი ეს მტკივნეულად გადაიტანა. ვუთხარი, იმ ხალხს, ვინც ჭიჭყინებს, მაინც ვერაფერს აუხსნი და თავი დაანებე-მეთქი. გასაგებია, რომ ეს არც ნინოს წინააღმდეგ იყო მიმართული, არც — ბალეტის და არც — ქორეოგრაფიული სასწავლებლის. უბრალოდ, საკითხის გაპოლიტიკურება იყო, თორემ იმ ჭაობში რომ შესულიყო ქორეოგრაფიული სასწავლებელი...

— უკაცრავად, „პიონერთა სასახლე“ ჭაობი რატომაა?

— შებრძანდით, ბატონო ვანო და ნახეთ, იქ რა ხდება. „მზიურის“ მერე, ვინმე გამოსული გინახავთ? მაშინდელი იდეა კი ის იყო, რომ სასახლე ნიუ იორკის ჯულიარდის მსგავს ხელოვნების სკოლად გადაკეთებულიყო... მოკლედ, ვერ გეტყვით, რომ ეს ამბები ჩვენთვის დიდი სიურპრიზი იყო...

— აგვისტოს ომის შემდეგ საგარეო საქმეთა მინისტრი ხდებით...

— მანამდე, 5 კვირა, კულტურის მინისტრი ვიყავი...

— ჰოდა, როცა ნაციონალების მთავრობის წევრი გახდით, სხვა თუ არაფერი, გირგვლიანი მოკლული იყო. არ ფიქრობდით, ყველაფერზე პასუხისმგებლობის აღება თქვენც რომ მოგიწევდათ?

— არა, რადგან ყველაფერი უკვე მომხდარი იყო.

— გასაგებია, მაგრამ, როგორც ამბობენ, სისხლიანი რეჟიმის წევრი გახდით...

— იცით, რა არის? მეუბნებით, ჩემს ეგოისტურ ინტერესებზე მეფიქრა მაშინ, როდესაც ქვეყანა რუსეთის კიდევ ერთი აგრესიიდან ახალი გამოსული იყო? მაშინ ვისაც რა შეეძლო, ის უნდა გაეკეთებინა, რომ საქართველო განვითარების რელსებზე სწრაფად დაბრუნებულიყო...

— ...როგორც საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი, ყველაზე დიდ წარმატებად და მიღწევად რას მიიჩნევთ?

— ჩვენი..

— მაპატიეთ, გუნდის კი არა, კონკრეტულად, თქვენი მიღწევები მაინტერესებს...

— ადამიანს მარტო არაფრის გაკეთება შეუძლია და თუ რომელიმე უწყების ხელმძღვანელი იტყვის, ეს მარტო ჩემი გაკეთებულიაო, ან სულელია, ან მოქალაქეების შეცდომაში შეყვანას ცდილობს. მთავარი ინსტიტუციონალიზაცია იყო. ჩვენ დროს დაიწყო პრაქტიკა — საგარეო საქმეთა სამინისტროში ადამიანი ვერ შემოვიდოდა, თუ ეროვნული საგამოცდო ცენტრის მიერ მოწყობილ კონკურსს არ გაივლიდა. ამით ერთი წუთითაც არ ჩნდებოდა ნეპოტიზმის ეჭვი.

— ნაციონალების დროს სახელისუფლებო ნეპოტიზმი ერთობ აქტუალური გახლდათ...

— ჰეგელი ამბობდა, რომ ჭეშმარიტება კონკრეტულია. ჩვენ საგარეოზე ვილაპარაკოთ, სხვა უწყებაზე სხვას ჰკითხეთ. არ გვქონია შემთხვევა, დეპარტამენტის დირექტორის დონის ქვემოთ, ისეთი ადამიანი შემოსულიყო სამინისტროში, ვისაც ეს კონკურსი გავლილი არ ჰქონდა. კონკურსანტის ვინაობა გამოცდების დასრულებამდე და გასაუბრებამდე არავინ იცოდა... ჩვენს დროს დაწყებული ამბასადორიალები დღესაც წარმატებით გრძელდება. ელჩი 5 წლის განმავლობაში, გარედან თითქმის არ შემოგვსვლია, კარიერული კიბე სწრაფ მოძრაობაში მოვიდა, ნიჭიერი ახალგაზრდები, ვინც მრჩევლებად გავიცანი, 2 წელიწადში ელჩები გახდნენ, რამდენიმე კი დღეს მინისტრი და მინისტრის მოადგილეა.

— ვის გულისხმობთ?

— გვარები ადვილი დასადგენია.

— თავშეკავებული რატომ ხართ?

— ისეთ ოჯახში გავიზარდე, სადაც სიტყვა „მე“ მოდური არ იყო... გავაგრძელოთ: მაშინ საგარეო საქმეთა სამინისტრო ყოველწლიურად სხვა სუვერენული სახელმწიფოების საგარეო უწყებებთან 70-ზე მეტ კონსულტაციას მართავდა, რაც ნიშნავდა, რომ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დეპარტამენტის დირექტორები 70-80 კოლეგას პირადად იცნობდნენ...

აუცილებლად მინდა, ამ ინტერვიუში ერთი რამ მოხვდეს: საქართველოს აქტიური, ახალგაზრდა, თვითმყოფადი დიპლომატიური კორპუსი ჰყავს. ეს ღვთითბოძებული სასწაული და იმის კიდევ ერთი მტკიცებულებაა, რომ ამ ერის ნიჭიერებას, თუ ჩვენს ინტელექტუალურ შესაძლებლობას სრულად გამოვიყენებთ, საზღვარი არ აქვს...

კონკრეტული მიღწევების ჩამოთვლა კი, შეიძლება, გაგრძელდეს 99% მზადდატოვებული ასოცირების ხელშეკრულებით, ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის გამარტივებით, ე.წ. აღიარებების ტალღის შეჩერებით, როდესაც რუსეთი ვენესუელას, ნიკარაგუას, ნაურუსა და ტუვალუს არცთუ სასიამოვნო კომპანიაში დავტოვეთ, ახალი მოკავშირეებით. ყველაფერი ეს მეამაყება.

— აფხაზეთისა და სამაჩაბლოს აღიარებას რომელიმე სერიოზული სახელმწიფო აპირებდა?

— რა თქმა უნდა.

— მაგალითად?

— ბელორუსი.

— და როგორ მოახერხეთ, ბელორუსს აღიარებაზე ხელი აეღო?

— ამას ინტერვიუში ვერ მოგიყვებით.

— ის მაინც მითხარით, ამ გადაფიქრებაში უშუალოდ მონაწილეობდით?

— უშუალოდ... აღიარებაზე, ასევე, ფიქრობდნენ კუბა, ირანი, აფრიკის 7 ქვეყანა, ცენტრალური ამერიკისა და ოკეანეთის რიგი სახელმწიფოები...

— როგორ მოხდა, რომ სააკაშვილის ხელისუფლებამ ეს არ გააპიარა?

— სააკაშვილის ხელისუფლება, ბატონო ვანო, ძალიან ეფექტური იყო და იმას აპიარებდა, რისი გაპიარებაც საჭირო იყო. ამის გაპიარება კი საჭირო არ გახლდათ, რადგან დიპლომატიას სიჩუმე უყვარს.

— საგარეო უწყების დღევანდელი ხელმძღვანელი, „ემოციურ გაუგებრობაში“ მოყოლილი თამარ ბერუჩაშვილი მოგწონთ?

— კოლეგებზე კომენტარს არ ვაკეთებ.

— ბატონო გრიგოლ, ისევ იმ კითხვას ვუბრუნდები, რითიც საუბარი დავიწყე: პოლიტიკურ კულუარებში ამბობენ, რომ მხოლოდ ამერიკელებისთვის კი არა, რუსებისთვისაც მისაღები ხართ და სწორედ ამიტომაც თქვენზე, როგორც სახელმწიფოს პირველ ან მეორე პირზე, მომავალში „სტავკა გაკეთდება“...

— ბატონო ვანო, პროფესიონალი ბრძანდებით, მაგრამ ეს აბსოლუტური სიყვითლეა... არავითარი პირადი პოლიტიკური გეგმა არ მაქვს...

— შეიძლება, მაგრამ, თუ შეთავაზება გექნებათ, არ დათანხმდებით?

— შეთავაზება რას ნიშნავს? პოლიტიკურ ბრძოლაში ჩაბმისას, ასეთ შემოთავაზებას არავინ გაგიკეთებს, თავად უნდა იბრძოლო და თავი მოიკლა, მაგრამ ახლა ჩემთვის მთავარი ამოცანაა, საზოგადოება „ივერიაში“ ის ადამიანები გაერთიანდნენ, რომლებიც საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან ემსახურებოდნენ ქვეყანას და თვლიდნენ, რომ პოლიტიკა მათი საქმე არ იყო. „ივერიაში“ ისინი უნდა გაერთიანდნენ, ვისაც ესმის, რომ ამ წუთს ზოგადეროვნული საკითხები გვაქვს გადასაწყვეტი და ერთმანეთთან კინკლაობის დრო არ არის.

— „ივერიაში“ „მწარე ქოცი“ რომ მოვიდეს, მიიღებთ?

— ჩემთვის არც „ქოცი“ არსებობს და არც — ნაცი. ჩემთვის მხოლოდ ღირებულებების ადამიანები და ის პოლიტიკური ძალები არსებობენ, რომლებიც ემსახურებიან ოთხ მთავარ მიზანს — საქართველოს სახელმწიფოებრიობისა და დამოუკიდებლობის განმტკიცებას, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, ევროატლანტიკურ და ევროპულ ინტეგრაციას.

— ანუ „ივერიაში, მაგალითად, ნინო ბურჯანაძის ადგილი არაა?

— არა!

— კატეგორიულად უარყოფთ, რომ „ივერია“ პოლიტიკურ პარტიად გადაკეთდება?

— არ გადაკეთდება.

— პოლიტიკური პარტია არც თქვენს ბაზაზე შეიქმნება?

— საზოგადოებრივი მოძრაობა სრულიად საკმარისია. ჩემთვის პოლიტიკური პარტია მიუღებელია, რადგან იდეოლოგიის გამო „იჭრი“ ხალხს და ამ დროს, იდეოლოგიის მიუხედავად, ყველა უნდა გაერთიანდეს ზოგადეროვნული საკითხების გადასაჭრელად.

— შეიძლება, ეს კითხვაც ყვითლად მონათლოთ, მაგრამ რეგიონებში ხალხს მართლა ეძებთ?

— დიახ, რეგიონებთან მუშაობა მიდის.

— რამდენი წევრი გყავთ?

— გაწევრიანება ორი კვირაა დავიწყეთ, თუმცა ჩვენთან თანამშრომლობისთვის გაწევრიანება საჭირო არაა. გაწევრიანება აქტივს ნიშნავს, რომელიც მზადაა, თავისი დრო, ენერგია, ინტელექტი და ყველა შესაძლებლობა ორგანიზაციულ სამუშაოს დაუთმოს.

— „ივერიაში“ გაწევრიანება რომ მოვინდომო...

— კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!..

— რა დამევალება?

— თქვენი განათლებისა და სურვილის შესაბამისად, ერთ-ერთ იმ სამუშაო ჯგუფში ჩართვა, რომელიც პროგრამას აკეთებს. საგარეო პოლიტიკით დაწყებული, ჯანდაცვით, სოფლის მეურნეობითა და ეკოლოგიით დამთავრებული, სამუშაო ჯგუფები პროგრამის ყველა ნაწილზე მუშაობენ.

— ასეა თუ ისე, ბატონო გრიგოლ, მგონია, რომ „ივერია“ ხელისუფლებაში მოსასვლელად ემზადება!

— ხელისუფლებაში მოსვლა მისი უდიდებულესობა, ქართველი ხალხის გადასაწყვეტია. თუ პოლიტიკური ორგანიზაციების უმრავლესობა ჩვენს პროგრამას ნაწილობრივ ან მთლიანად დაეთანხმება და ამ იდეების „მოპარვა“ დაიწყება, ჩვენ ამის კი არ გვეშინია, პირიქით, გამარჯვებად ჩავთვლით. დღეს საქართველოსა და საქართველოს საზოგადოებისთვის, ჩემი აზრით, კატეგორიულად მიუღებელია დროის კარგვა იმაზე, რაზეც ვკარგავთ. ორწელიწადნახევარი „ქართული ოცნება“ ამტკიცებდა, რომ წარსულში კარგი საერთოდ არაფერი მომხდარა, ახლა კი იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ყველა პროექტი, რაც ამ დროის განმავლობაში უაზროდ იყო გაჩერებული, გასაგრძელებელია.

— ამ „გაჩერებაში“ კონკრეტულად, ვთქვათ, ყოფილ პრემიერს ადანაშაულებთ თუ მთელ კოალიციას?

— მთელ კოალიციას... მოდი, იმაზეც ვილაპარაკოთ, რომ ერთი მხრივ, ჩვენთან პოლიტიკური კულტურა იმ დონეზე არ არის, როგორზეც უნდა იყოს; და მეორეც, ვთქვათ, რომ 1992 წლის და 2015 წლის საქართველოს მოქალაქეს შორის ფუნდამენტური განსხვავებაა.

— ვერ ვხვდები, ამას რატომ ამბობთ...

— ორწელიწადნახევარი მართლა კინკლაობაში დაიკარგა, მაგრამ საზოგადოება კატეგორიულად მოითხოვს, ყველაფერი ქუჩის დაპირისპირებასა და ურთიერთგარჩევებში არ გადაიზარდოს. საზოგადოების მოთხოვნა კონსტიტუციური განვითარებაა და ეს ძალიან საამაყოა!

— ბატონო გრიგოლ, „ივერიისა“ და ირაკლი ალასანიას თავისუფალი დემოკრატების თანხვედრა შესაძლებელია?

— ამას დამფუძნებელი კონფერენციის დელეგატები გადაწყვეტენ.

— რის დაფუძნებას გეგმავთ?

— ხომ ვილაპარაკეთ — საზოგადოებრივი მოძრაობა „ივერიის“. ჩათვალეთ, ჩვენ საორგანიზაციო ჯგუფი ვართ...

— ამას წინათ, ერთი კონფერენცია უკვე გამართეთ...

— ის კონფერენცია კი არა, საზოგადოებასთან შეხვედრა იყო. ჩვენი იდეები მოვსინჯეთ...

— ამ შეხვედრაზე, სხვათა შორის, ბევრი ისეთი დაპატიჟეთ, ვინც ნაცმოძრაობასთან არ ასოცირდება. ეს თქვენი სტრატეგიაა?

— სტრატეგია კი არა, სურვილი იყო, რომ მათთვის, ვინც დღემდე ამბობს, მოგვისმინეთ, პროფესიონალები ვართო, მაგრამ არავინ უსმენდა, მოგვესმინა...

— სააკაშვილთან ურთიერთობა გაქვთ ან „ივერიის“ საქმიანობის საქმის კურსშია?

— პრეზიდენტთან პიროვნულ დონეზე ურთიერთობა მაქვს.

— დავაკვირდი: რამდენჯერაც სიტყვა სააკაშვილზე ჩამოვარდა, პრეზიდენტად მოიხსენიეთ...

— პრეზიდენტია! ბატონი მარგველაშვილიც, როდესაც პოსტს დატოვებს, პრეზიდენტი იქნება. საქართველოს აწგანსვენებული პირველი პრეზიდენტიც პრეზიდენტია და აწგანსვენებული ბატონი შევარდნაძეც. ეს წოდება სამუდამოა.

ისე, პრეზიდენტს კარგა ხანია არ შევხვედრივარ და არც გეგმებზე გვილაპარაკია...

— ბატონო გრიგოლ, „ივერიის“ ერთ-ერთი ლიდერის, კერძოდ, ნიკა რურუას მიმართ საზოგადოების დამოკიდებულება არაერთგვაროვანია. ეს საზოგადოებრივ მოძრაობაზე უარყოფითად არ იმოქმედებს?

— იცით, ბატონო ვანო? თუ ასეთი დამოკიდებულება მართლა არსებობს, საზოგადოებას კი არა, საზოგადოების ერთ ნაწილს ვიტყოდი. ჩემთვის მეგობრობა გაცილებით მაღლა დგას, ვიდრე პოლიტიკური, „ტაქტიკური“ და „სტრატეგიული“ მოსაზრებები. თუ აღმოჩნდება, რომ „ივერიის“ ბირთვიდან ვინმე საზოგადოებისთვის მიუღებელია, ამას ისე მივიღებთ, როგორც საზოგადოების დასკვნას და ამ საქმეს ჩამოვშორდებით!

— ყველა ერთად ჩამოშორდებით?

— მე ჩემს თავზე გელაპარაკებით.

— „ივერიაში“, ადრე თუ გვიან, გიგა ბოკერიაც გამოჩნდება?

— ეს თეორიული მოსაზრებაც კი არ არის, რადგან არსებული პოლიტიკური ორგანიზაციის ლიდერზე ლაპარაკობთ, რომელსაც თავისი არჩევანი უკვე გაკეთებული აქვს.

— ბატონო გრიგოლ, გითხარით და კიდევ გეუბნებით: „ივერიის“ „ლიდერშიფის“ უმეტესობა წინა ხელისუფლების წევრი იყო. ხალხს ნაციონალები არ უყვარს. მოსახლეობის კეთილგანწყობას როგორ მოიპოვებთ?

— წინა ხელისუფლების წევრი ვინ არ იყო?

— მაგალითად, მე.

— ამიტომ მინდა, რომ ჩვენთან მოხვიდეთ... დღევანდელი კაბინეტი ნახეთ, წინა ხელისუფლებაში ვინ არაა ნამყოფი?

— პრემიერი ღარიბაშვილი...

— კიდევ კარგი!

ჩემი მოსაზრებით, საქართველოში ასეთი დამოკიდებულება, ერთხელ და სამუდამოდ, უნდა დამთავრდეს. ისე, ჩვენ რომ რაიმე ფორმით ნაციონალებთან ვიყოთ ასოცირებული, ახლა ჩემი და თქვენი საუბარი „რუსთავი 2“-ზე იქნებოდა და არა ამ ოფისში.

— ანუ ადასტურებთ, რომ „რუსთავი 2“ ნაციონალების ტელევიზიაა?

— (იცინის) არა, მაგრამ სიმპათია მკვეთრად გამოხატულია.

— მასე, ნაციონალების მიმართ სიმპათია თქვენც გაქვთ...

— კი.

— ქუჩაში ხალხი აგრესიით გხვდებათ?

— არა, სიყვარულით.

— „ივერიის“ საქმიანობაში ნინო ანანიაშვილიც ჩაერთვება?

— არავითარ შემთხვევაში! მთელი ცხოვრება თვლის, რომ პროფესიონალმა თავისი საქმე უნდა აკეთოს!

— ...ბატონო გრიგოლ, სიგარას რატომ ეწევით?

— 1991 წლამდე დღეში სამ კოლოფ სიგარეტს ვეწეოდი! ანუ, პრაქტიკულად, არ ვაქრობდი. ნინოს უთხრეს, სიგარა ნაკლებად მავნე და ისეთი საზიზღრობაა, თან მის მოწევას განსაკუთრებული ატმოსფერო სჭირდება, თუ დააფიცებ და სიგარის მოწევას დააწყებინებ, სიგარეტს თავს დაანებებსო. სიგარეტი გადავაგდე, მაგრამ სიგარა ისე შემიყვარდა, თავს, ალბათ, ვერასოდეს დავანებებ. მინისტრობისას დღეში ხუთს ვეწეოდი, ახლა კი ერთს...

— არ გინდათ, რამე თქვენც მკითხოთ?

— როგორ აფასებთ, ბატონო ვანო, საქართველოს დღევანდელ მდგომარეობას?

— ალექსანდრე ჭიკაიძემ როგორ თქვა — კრიმინალი კარგადაა?..

— (იცინის) კარგი, ასე დავტოვოთ...

ერთსაც დავამატებ: „ივერიას“ დიდი პლუსი აქვს — არავის როლს არ ვასრულებთ და ჩვენი ძალა მართლაც გულახდილობაშია! ჩვენ არჩევნები, როგორც მარტო შედეგი კი არა, უფრო რამდენიმე მნიშვნელოვან ღირებულებაზე საზოგადოების კონსოლიდაციის ინსტრუმენტად გვაინტერესებს.

— ისე, რით არსებობთ — გრანტებით?

— გრანტი არ გვქონია ერთის გარდა, პირადი სახსრებით.

— ყველა უმუშევარი ხართ და პირადი სახსრები საიდანღა გაქვთ?

— წინა ცხოვრებაში ყველა ვმუშაობდით.

— ჩინოვნიკებს, ადრეც და ახლაც, როგორც თავად ამბობენ, კრედიტები აქვთ და „შავი დღისთვის“ ორ კაპიკს ვერ გადადებდით...

— კრედიტი 2011-ში ავიღე, როცა ძალიან გაგვიჭირდა.

— მინისტრებსაც უჭირდათ?

— კი, თან ბიზნესი არ მიყვარს, თუმცა პატიოსნად გეუბნებით, რომ ალბათ, ნაკლებ წარმატებას არ მივაღწევდი.

— ფული გიყვართ?

— არა! ზუსტად ვიცი, რამდენი უნდა ჩემს ოჯახს, რომ ფულის მონები არ გავხდეთ. სხვათა შორის, სხვადასხვა ბიზნესსტრუქტურიდან, რუსეთსა თუ აშშ-ში, მაღალშემოსავლიანი პოსტის შეთავაზება ბევრჯერ იყო, მაგრამ არის რაღაც ზღვარი, რის შემდეგაც ფული კი აღარ გემსახურება, ფულს შენ ემსახურები. მე კი კარგი სპექტაკლი და მეგობრებთან ურთიერთობა მიყვარს...

მოგვიწევს თუ არა ტელევიზორის შეცვლა

მაია მიშელაძე
593-51-90-12

2015 წლის 17 ივნისს, საქართველო ციფრულ მაუწყებლობაზე უნდა გადავიდეს. ეს ვალდებულება საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირის (ITU) წევრმა ქვეყნებმა 2006 წელს აიღეს. ამჟამად, მაუწყებლები მიწისზედა ანუ ანალოგურ სიგნალს ავრცელებენ, რომლის სიხშირეები შეზღუდულია. ამ სიგნალის ციფრულად გავრცელება გაცილებით მეტი არხის გაშვების შესაძლებლობას იძლევა. როგორ უნდა მივიღოთ ციფრული მაუწყებლობა? დაგვჭირდება თუ არა ტელევიზორის შეცვლა? რა სახის ანტენა დაგვჭირდება? რას ნიშნავს „სეთ-თოფ ბოქსი“, რომელიც „ციფრული მაუწყებლობის სააგენტოს“ მიერ მომზადებული ვიდეოკლიპებიდან ხშირად გვესმის? სად და როგორ შევიძინოთ „სეთ-თოფ ბოქსები“, რათა ციფრული მაუწყებლობა მივიღოთ და კონკრეტულად ვის არ დასჭირდება ეს აპარატურა?



საკაბელო ოპერატორების აბონენტებს „სეთ-თოფ ბოქსები“ არ დასჭირდებათ

რატომ შეიქმნა „ციფრული მაუწყებლობის სააგენტო“?

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 იანვრის 118-ე დადგენილებით, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ) „ციფრული მაუწყებლობის სააგენტო“ შეიქმნა, რომელიც ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაქვემდებარებაშია. სააგენტოს მიზანია, უზრუნველყოს ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის სამუშაოთა კოორდინაცია; სოციალურად დაუცველი ოჯახების სუბსიდირება; ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესის საინფორმაციო უზრუნველყოფა და საჭიროების შემთხვევაში, მოსახლეობისთვის შესაბამისი დახმარების ოპერატიულად აღმოჩენა.

სსიპ „ციფრული მაუწყებლობის სააგენტოს“ თავმჯდომარემ, **ნინო ქუბინიძემ** „ვერსიას“ განუცხადა, რომ სააგენტომ უკვე შეიძინა „სეთ-თოფ ბოქსების“ პირველი პარტია, რომელსაც სოციალურად დაუცველი ოჯახები აღდგომის დღესასწაულის შემდეგ მიიღებენ:

„სოციალურად დაუცველი 210 159 ოჯახისთვის, რომლებიც სარგებლობენ 70 000 და ნაკლები სარეიტინგო ქულით, უკვე შევისყიდეთ სერტიფიცირებული „სეთ-თოფ ბოქსები“. მათი პირველი პარტია უკვე საქართველოშია, განბაჟებულია და მალე დავარიგებთ კიდეც. ჯერ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ოჯახებს დავურიგებთ, ხოლო დანარჩენი „სეთ-თოფ ბოქსები“ გადანაწილდება „საქართველოს ფოსტის“ თბილისის სერვისცენტრებში; მეორე პარტია მაისის შუა რიცხვებში ჩამოვა და „საქართველოს ფოსტის“ რეგიონულ სერვისცენტრებში გადანაწილდება“.

ახალ ფორმატზე ანუ ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლა სახელმწიფო მნიშვნელობის ფართომასშტაბიანი რეფორმაა, რომელიც მთავრობის მიერ განსაზღვრული სამოქმედო გეგმისა და რეკომენდაციების შესაბამისად ხორციელდება. რეფორმა საქართველოს ყველა მოქალაქეს შეეხება, გამონაკლისი მხოლოდ საკაბელო, თანამგზავრული და ინტერნეტტელევიზიების მომხმარებლები გახლავთ. ამ რეფორმის მიზანია შეზღუდული ბუნებრივი რესურსის, ტელე-რადიო სიხშირეების ეფექტურად გამოყენება; მედიაპლურალიზმი და გამოხატვის თავისუფლება; მედიაბაზარზე კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბება; მომხმარებლისთვის მრავალფეროვანი და მაღალხარისხიანი საეთერო მაუწყებლობის მიწოდება; ინფორმაციული საზოგადოების განვითარება; ინვესტიციების მოზიდვა და დარგში ევროპული სტანდარტების დამკვიდრება.

აღნიშნული რეფორმა ხელს შეუწყობს ახალი შესაძლებლობების დანერგვას, რადგან მომხმარებელს შეეძლება დაგეგმოს მისთვის სასურველი გადაცემის ყურება; ისარგებლოს ელექტრონული პროგრამების კატალოგით და გამოიყენოს შეხსენების რეჟიმი. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის, გათვალისწინებული იქნება აუდიო აღწერილობა და სუბტიტრები.

„გლობალ TV“-ს მომგებიანი მარკეტინგული ნაბიჯი

„ვერსიის“ ინფორმაციით, ერთ-ერთი ციფრული მაუწყებლობის კომპანია „გლობალ TV“ მოსახლეობას საკუთარ პაკეტს თვეში 10 ლარად სთავაზობს. ფაქტია, ბიძინა ივანიშვილის კუთვნილ კომპანიას სატელიტური ანტენების პრობლემა აღარ აქვს (ყველას კარგად გვახსოვს 2012 წლის არჩევნებამდე, წინა ხელისუფლების პირობებში, საბაჟოზე დაყადაღებული ანტენები). თუმცა ამ, ერთი შეხედვით, უწყინარ აქციაში, კარგად გააზრებული და კომერციულად მომგებიანი პიარსვლაა ჩაფიქრებული.

იქიდან გამომდინარე, რომ საკაბელო, ინტერნეტ და განსაკუთრებით, ციფრული მაუწყებლობის აბონენტებს საერთოდ არ ეხება რეფორმა, მათ არც „სეთ-თოფ ბოქსები“ დასჭირდებათ, ასეთი შეთავაზება ამ კომპანიას საშუალებას აძლევს, აბონენტების რაოდენობა გაზარდოს. ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის შემდეგ, ამა თუ იმ ოპერატორს ქვეყნის მასშტაბით, აბონენტების დაფარვის პრობლემა არ ექმნება. მნიშვნელობა არ აქვს, ქვეყნის რომელ რეგიონში ცხოვრობთ, ციფრულ მაუწყებლობას აუცილებლად მიიღებთ. თუ უფრო დავაკონკრეტებთ, მთაში იქნებით თუ ბარში, ზღვაზე, ხმელეთზე, ტყეში, თუ ტბის პირას, მაგალითად, ტელეკომპანია GDS-ის გადაცემების ცქერას, თანაც საკმაოდ მაღალი ხარისხით, უპრობლემოდ შეძლებთ. ამ შემთხვევაში, მნიშვნელობა არ აქვს, „გლობალ TV“-ს აბონენტი იქნებით, „სილქნეტის“, „მაგთისატისა“ თუ, სულაც, „აიეტის“ ან რომელიმე საკაბელო ოპერატორის, რადგან ნებისმიერი მაუწყებლის სიგნალს უკვე ციფრული სიხშირით იღებთ. თუმცა ეს მხოლოდ თბილისის მოსახლეობას ეხება, რეგიონში კი, თუ „გლობალ TV“-ს შეთავაზებას მიიღებთ ანუ 10 ლარად ამ კომპანიის აბონენტი გახდებით, რეალურად, არაფერს კარგავთ. პირიქით, შეგიძლიათ მშვიდად დაელოდოთ რეფორმას, რომელიც თბილისელების მსგავსად, აღარც თქვენ შეგეხებათ.

„გლობალ TV“-ს წარმომადგენელმა ეს ინფორმაცია ოფიციალურად არ დაგვიდასტურა, თუმცა კომპანიის ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციის საშუალებით, გავარკვიეთ, რომ ციფრული მაუწყებლობის კომპანიას მართლაც აქვს 10-ლარიანი (60 არხი), 20-ლარიანი (90 არხი) და 30-ლარიანი (120 არხი) პაკეტები. „გლობალ TV“-ს“ წარმომადგენელმა „ვერსიას“ მხოლოდ ის დაუდასტურა, რომ კომპანია ერთ-ერთი პირველი ციფრული მაუწყებელია, რომელიც საქართველოს ბაზარზე 2006 წლიდან ოპერირებს და ქვეყნის თითქმის მთელ ტერიტორიას ფარავს. ამიტომ რეფორმა, რომელიც საქართველოში 2015 წლის 17 ივნისიდან განხორციელდება, „გლობალ TV“-ს აბონენტებს არ შეეხება, რადგან ისინი ისედაც ციფრულ მაუწყებლობას იღებენ.

როგორ მოვემზადოთ ციფრული მაუწყებლობისთვის

რა უნდა ვიცოდეთ ციფრულ მაუწყებლობაზე გადასასვლელად? სად შევიძინოთ „სეთ-თოფ ბოქსები“ და როგორ დავიცვათ არასერტიფიცირებული ან უხარისხო პროდუქტისგან თავი? „ვერსიას“ ციფრული მაუწყებლობის სააგენტოს თავმჯდომარე **ნინო ქუბინიძე** ესაუბრება:

— ქალბატონო ნინო, სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისთვის უკვე შეიძინეთ სერტიფიცირებული „სეთ-თოფ ბოქსები“, მაგრამ როგორ უნდა მოიქცეს მოქალაქე, რომელიც არც ერთი თანამგზავრული თუ საკაბელო ოპერატორის აბონენტი არ არის და „სეთ-თოფ ბოქსი“ სჭირდება?

— ასეთ შემთხვევაში, მოქალაქე „სეთ-თოფ ბოქსს“ საქართველოში ტექნიკის ნებისმიერ მაღაზიაში შეიძენს. რაც შეეხება ფასს, ბაზარი დაარეგულირებს, შეიძლება, 20 ლარიც ღირდეს და 100-იც. ეს იმაზეა დამოკიდებული, რა ფუნქციონალს შეიცავს „სეთ-თოფ ბოქსი“. პირადად არ მინახავს მაღაზიებში „სეთ-თოფ ბოქსები“, მაგრამ მეგობრებმა ნახეს და მითხრეს, რომ 50-55 ლარი ღირს. ზოგადად, რაც მეტი, სხვადასხვა ტიპის „სეთ-თოფ ბოქსი“ შემოვა, სავარაუდოდ, უფრო გაიაფდება.

— ვინ გააკონტროლებს, ბაზარზე არასერტიფიცირებული „სეთ-თოფ ბოქსები“ არ მოხვდეს?

— ამ შემთხვევაში, პარალელი ფიჭურ კავშირგაბმულობასთან უნდა გაავლოთ. ბაზარზე ნებისმიერი ხარისხის ტელეფონი იყიდება და ამ პროცესს არც ერთი სახელმწიფო სტრუქტურა არ აკონტროლებს. მომხმარებელმა თავად უნდა იცოდეს, რომ, როდესაც ამა თუ იმ ელექტრონულ მოწყობილობას იძენს, მინიმუმ, ორწლიანი საგარანტიო ფურცელიც უნდა ახლდეს; გარდა ამისა, სასურველი პროდუქტი ადგილზე უნდა შეამოწმოს, რათა დარწმუნდეს, რამდენად ხარისხიანად მუშაობს, რამდენად ხარისხიანად იღებს ამა თუ იმ მაუწყებლობას, აქვს თუ არა ფონტები, იღებს თუ არა როგორც საზოგადოებრივი მაუწყებლის, ასევე კომერციული ოპერატორების სიგნალს. მთავრობა ვერ გააკონტროლებს, ხარისხიანი პროდუქციაა ბაზარზე თუ არა, მაგრამ სახელმწიფო სავაჭრო ქსელებს სთავაზობს, თუ ქვეყანაში ისეთ პროდუქტს შემოიტანენ, რომელიც ჩვენს მიერ ჩამოყალიბებულ ტექნიკურ მოთხოვნებს დააკმაყოფილებს, ჰოლოგრამიან სტიკერებს გადავცემთ და მომხმარებელი შეძლებს პროდუქციის გარჩევას. „სეთ-თოფ ბოქსისთვის“ ჰოლოგრამიანი სტიკერის მისაღებად კი შემომტანს საერთაშორისო ლაბორატორიის სერტიფიკატი უნდა ჰქონდეს.

— ვინ დაამონტაჟებს „სეთ-თოფ ბოქსს“?

— ვინ გიმონტაჟებთ სარეცხის მანქანას, რომელსაც ტექნიკის ამა თუ იმ მაღაზიაში იძენთ? მაღაზიამ უნდა უზრუნველყოს მონტაჟის სერვისი იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელს ეს დასჭირდება. „სეთ-თოფ ბოქსის“ მიერთება ტელევიზორთან საკმაოდ მარტივია და დეტალურადაა აღწერილი ინსტრუქციაში, რომელიც პროდუქტს მოყვება. ეს პროცესი აღწერილია ჩვენს ვიდეოკლიპშიც, რომელიც სატელევიზიო ბადეში ტრიალებს.

— მოსახლეობას ტელევიზორისა და ანტენის შეცვლაც დასჭირდება?

— მთავარია, ტელევიზორს გააჩნდეს ყველა ის ფუნქციონალი, რაც ქართული ბაზრისთვის, ტექნიკურ დოკუმენტაციაში ჩამოვაყალიბეთ. შესაძლოა, ესა თუ ის ტელევიზორი შეიცავდეს ამ პარამეტრებს, მაგრამ თუ აზიაშია დამზადებული, არ დააკმაყოფილებს იმ ფუნქციონალს, რაც ტელევიზორზეა მითითებული.

დასასრული მე-7 გვერდზე

ვერსიანიუსი

პან გი მუნი ჟურნალისტისა და ოპოზიციონერის მკვლელობის სასწრაფო გამოძიებას ითხოვს

გაერო-ს გენერალური მდივანი, პან გი მუნი შეშფოთებას გამოთქვამს უკრაინელი ჟურნალისტის, ოლეს ბუზინასა და ოპოზიციონერი პოლიტიკოსის, ოლეგ კალაშნიკოვის მკვლელობების გამო, — ამის შესახებ გაერო-ს პრესსამსახურში განაცხადეს.

პან გი მუნის თქმით, საჭიროა ორივე შემთხვევის სწრაფად გამოძიება, ქვეყანაში კანონის უზენაესობის დაცვა და დამნაშავეების დასჯა.

ჟურნალისტი ოლეს ბუზინა, რომელიც მოქმედ ხელისუფლებას აქტიურად აკრიტიკებდა, ორი დღის წინ მოკლეს. ოპოზიციონერი ოლეგ კალაშნიკოვი კი კიევში საკუთარ სახლში გარდაცვლილი იპოვეს. მომხდართან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე განზრახ მკვლელობის მუხლით.

უკრაინის პრეზიდენტს, პეტრო პოროშენკოს განცხადებით, მკვლელობის ორივე შემთხვევა, სავარაუდოდ, კავშირშია.

„ინტერპრესნიუსი“

ნატო ონიანი: „თავს მედიაექსპერტად არ ვთვლი!“

„ჩემს თავს მედიაექსპერტად არ ვთვლი, ექსპერტი ცოტა სათნო თემაა. ჩვენთან, ყოველ მეორე ნაბიჯზე, ექსპერტია და ეს კარგ შთაბეჭდილებას ნამდვილად არ ტოვებს. ექსპერტობა ისეთი რამ არაა, რაც ჟურნალისტმა წოდებასავით უნდა მიანიჭო“, — აცხადებს ჟურნალისტი ნატო ონიანი. მისივე თქმით, ადამიანი, თუ თავის სფეროში აღიარება და შესაბამისი ცენზი არ აქვს, ექსპერტად ვერ ჩაითვლება. **„ჩვენთან საქმე ცოტა უცნაურადაა: ერთსა და იმავე ადამიანს შეუძლია, ისაუბროს ნებისმიერ დარგზე. ეს სრულიად დილეტანტური მიდგომაა, რაც აბსოლუტურად მიუღებელია. განსაკუთრებით პოლიტიკას ეხება, რომელზეც ყველას შეუძლია, აზრი თამამად გამოთქვას და ამისთვის არც პოლიტოლოგის ცენზია საჭირო, არც პოლიტიკაში მოღვაწეობა და სტაჟი. დღეს პოლიტიკასა და მედიაზე ლაპარაკი ძალიან მარტივი გახდა“,** — აცხადებს ნატო ონიანი

„tb24.ge“

ბიძინა გუჯაბიძე: „საკმარისად ვერ ვმუშაობთ!“

„ორი ავად გვყავს“ — რატომ ანუხებს გული დეპუტატებს და რას აპირებენ კონსერვატორები

ნინო კომახიძე
599-95-33-16

„დაპაუზებული“ პოლიტიკური პროცესი ზურაბ ადეიშვილის ინტერპოლის საძიებო სისტემიდან მოხსნამ, ერთი შეხედვით, „ამოქოქა“, თუმცა მოცემულობა იგივეა — პარტიები, განსაკუთრებით, კოალიციაში შემავალი, დუმილს ამჯობინებენ და ცდილობენ, პარტიული შეხედულებები ოპონენტებზე, საარჩევნო კოდექსსა თუ სხვა საჩოთირო თემებზე ნაკლებად გამოთქვან. მიუხედავად ამისა, კონსერვატორების ერთ-ერთმა ლიდერმა, ბიძინა გუჯაბიძემ „ვერსიასთან“ საუბარს თავი არ აარიდა...

— ბატონო ბიძინა, ბოლო პლენარული სხდომა ისევ კვორუმის არარსებობის გამო ჩავარდა — დარბაზში 5 დეპუტატი იჯდა. ეს რა საქციელია?

— ჩვეულებრივი მოვლენაა, დარბაზში 5 კაცი რომ იჯდა, რადგან საკითხი ამ კონკრეტულ დეპუტატებს აინტერესებდათ.

— დანარჩენ 145-ს არა?

— ასე ვერ ვიტყვით... ამ 145-დან 15 მივლინებაშია, 2 ავად გვყავს — მერაბ კაჭახიძე და ირაკლი ტრიპოლსკი, რომელსაც გულის პრობლემა აქვს.

— ისე, ამ მოწვევის პარლამენტარებს გული ხშირად გაწუხებთ...

— გული ყველას გვაწუხებს — ქვეყანაზე შეგვტკივა...დარჩენილ რაოდენობას ნაციონალებიც გამოვაკლოთ და რჩება 80-მდე დეპუტატი, მაგრამ ხანდახან ისეც ხდება, 76 კაცს ვერ ვკრებთ, თუმცა ჩვენი ფრაქცია სხდომაზე იყო. ამ საკითხს საპროცედურო საკითხთა კომიტეტი არკვევს და, თუ ვინმე სხდომას არასაპატიო მიზეზით არ ესწრებოდა, რეაგირება აუცილებლად იქნება.

— ბოლო დღეების მთავარი თემა ადეიშვილის წითელი ცირკულარიდან მოხსნაა. ყველაზე საინტერესო კი ხათუნა ლაგაზიძის გამოხმაურება იყო, რომლის თქმითაც, ეს ევროპასა და აშშ-დან „ოცნებისთვის“ წითელი ბარათის აწევას ნიშნავს და აშშ სხვა საქმეებით რომ არ იყოს დაკავებული, პირველ რიგში, საქართველოს ხელისუფლების შეცვლაზე იზრუნებდა...

— გაოცებული ვარ! ძალიან ცუდი, არაკორექტული და არაპროფესიული განცხადებებია. აშშ-სა და ევროსტრუქტურების ჩარევით საქართველოს ხელისუფლება არც მოქმედებს და არც იცვლება. ამას არც გვაკადრებენ და არც ჩვენ დავუშვებთ. არ მინდა, ცუდი სიტყვა ვიხმარო, მაგრამ ეს აბსურდია! ხათუნა ლაგაზიძეს უნდა მოეხსენებოდეს, როგორ ილაპარაკოს, მას საკმაო გამოცდილება აქვს და წინა პერიოდში კორექტულობითაც გამოირჩეოდა.

რაც შეეხება ადეიშვილის ცირკულარიდან მოხსნას, თავის დროზე, როგორც ჩანს, სათანადო ყურადღება ვერ მივაქციეთ მსგავს დამნაშავეებს. ადეიშვილს, სამართლებრივი რეაგირების გარეშე, საერთოდ ქვეყანა არ უნდა დაეტოვებინა. თავიდან ჩვენმა ხელისუფლებამ რაღაც მოვლენებს ალღო ვერ აუღო და ბევრი შეცდომაც დაუშვა. ახლა სათანადო ნაბიჯებს გადავდგამთ, ეს საკითხი ჩამოწერილი არაა და გაგრძელება ექნება.

— ეკა ბესელიას შეფასებაც საინტერესო იყო, ადეიშვილმა ლტოლვილის სტატუსი პირადი კონტაქტებით მიიღო — ერთმა ყოფილმა მაღალჩინოსანმა სახელმწიფოს სტრუქტურებს როგორ აჯობა?

— სამწუხაროდ, ეს აპრობირებული მეთოდია და ზოგი პირად კონტაქტებს დანაშაულებრივი მიზნებისთვის იყენებს. ამბობენ, თავშესაფარი უნგრეთმა მისცაო, თუმცა ზუსტად არ ვიცი და ეს პირადი კონტაქტებითა თუ კულუარული მუშაობით უნდა გავარკვიოთ.

— მთელ მსოფლიოში გაფანტული ნაციონალების ექსტრადირებას რომ ითხოვთ და ყველა ქვეყანა უარს გეუბნებათ, რა დასკვნას აკეთებთ?

— საკმარისად ვერ ვმუშაობთ, თან ყველა პოლიტიკურ ჯგუფს, მათ შორის, ევროპაში, საკუთარი ინტერესები ამოძრავებს. ასე რომ, ჯერ მსოფლიო სამართლებრივად ისე არაა მონყობილი, როგორც გვინდა. ალბათ, მსგავსი შემთხვევები კიდევ იქნება, თუმცა უკვე დროა, ყველაფერს ალღო ავუღოთ და შესაბამისად ვიმოქმედოთ. ისე, ადეიშვილისთვის ძებნის მოხსნით ქვეყანა არ დაქცეულა, ზოგს იჭერენ, ზოგს ვერა. სამყარო იდეალურად რომ იყოს მოწყობილი, ასეთი რამ არ მოხდებოდა.

— ანუ სამყაროს იდეალურობამდე ადეიშვილის ციხეში ჩასმა აკლია?

— არა, ეს უტრირებაა.

— თქვენი ფრაზა გამახსენდა, უცხოელ სტუმრებს ყველითა და პურით ხომ არ გავუმასპინძლდებითო? ციკნებით რომ უმასპინძლდებით, ბატონო ბიძინა, იმიტომ ვერ მოხსნეს ადეიშვილი ცირკულარიდან?

— თავადაც მშვენივრად იცით, რომ ციკნის ხარჯი და ადეიშვილის ცირკულარიდან მოხსნა ერთმანეთთან კავშირში არაა. მაღალი რანგის სტუმრების ზომიერი, მაგრამ ამავე დროს, სოლიდური დახვედრაა საჭირო. სულ ციკნებზე რომაა საუბარი, ერთი ულუფა სუფრისთვის საკმარისია და ისე ნუ წარმოვიდგენთ, თითქოს ხადურმა ციკნის ფარა გაწყვიტა. რაც ნაციონალებს პურ-მარილში ფული აქვთ გადაყრილი, ჩვენი სუფრები იმასთან ნამდვილად ვერ მივა. საერთოდ, ჩვენნაირი ქვეყნისთვის ეს შიდაურთიერთობები მაინც ნორმალურია, ნაციონალების ნარჩენების რეციდივი თავს გვახსენებს ხოლმე, მაგრამ ეს დღევანდელი ხელისუფლებისთვის საფრთხეს არ ქმნის. გვაქვს ეკონომიკური პრობლემები, მაგრამ აგერ, თებერვალში, ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი 4,7%-ია, თუმცა ეს მაჩვენებელი ხალხზე უცებ ვერ აისახება. შედეგი წლის მეორე ნახევარში გამოჩნდება.

— სამაგიეროდ, ლარის კურსის ვარდნა ყველას ჯიბეზე მომენტალურად აისახა. ლარმა თქვენც დაგაზარალათ?

— დიახ, ჩემი საბანკო სესხიც გაძვირდა — სესხი დოლარში მაქვს აღებული, დაახლოებით, 20 000 ლარი გამოდის, გადახდა ახლა უნდა დავიწყო. ვიცი, დიდ განსხვავებას მომცემს, რადგან ხელფასს ლარში ვიღებ.

— ეს განსხვავება თქვენს ოთხნიშნა ხელფასს დიდად არ დაეტყობა.

— დაქვითვითა და ა.შ. სადღაც 3 000 ლარზე მეტი გამომდის.

— ე.ი. სესხი გაქვთ 20 000 ლარი, „ოცნებას“ კი 30 000 გადაურიცხეთ, ეს როგორ?

— 42 წელია, თბილისში ვცხოვრობ. ეს ჩემი და ჩემი მეუღლის ნაგროვები ფული იყო და, როცა კოალიციას დასჭირდა, ჩავრიცხე.

— თქვენი მეუღლე ყაბულს იყო?

— შეიძლება ჩემი მეუღლე ამას დიდი ენთუზიაზმით არ შეხვედრია, მაგრამ ასე იყო საჭირო. კოალიციის პოლიტიკურ საქმიანობას დაფინანსება სჭირდებოდა და ეს ჩემი გადაწყვეტილება იყო, რადგან დედამიწაზე ვერავინ აიძულებს ბიძინა გუჯაბიძეს, რაღაც გააკეთოს ან არა. პოლიტიკაში მთელი ცხოვრება ჩავდე.

— რა ვიცი, გარემოს დაცვის კომიტეტის თავკაცობა კი დაგათმობინეს... კიდევ ერთი კონსერვატორი საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარედ მოიაზრებოდა, მაგრამ პოსტი არც მას ერგო — ამ თანამდებობაზე ივანიშვილის მეგობარი გია ჟორჟოლიანი დაინიშნა. რატომ ჩაგაჩოჩეს?

— ყველანი ივანიშვილის მეგობრები ვართ და გამორჩეულად ხაზგასმა არ გვინდა. ამ ეტაპზე ასე გადაწყვიტა პოლიტსაბჭომ. ჩვენ არ ვართ პრეტენზიულები და ნებისმიერ შემთხვევაში, ვინარჩუნებთ პოლიტსტაბილურობას. კოალიციის ერთიანობის მომხრე ვარ და, რაკი ასე გადაწყდა, პრეტენზია არ გამჩენია, თორემ, რომ შემოეთავაზებინათ თავმჯდომარეობა, დავთანხმდებოდი.

— მორჩილი ხართ, ბატონო ბიძინა?

— ჩვენ ურჩები ქვეყნის მტრების მიმართ ვართ! კონსერვატორები კოალიციურ რეჟიმში სტაბილურად და ყოველგვარი ექსცესების გარეშე ვმუშაობთ და მორჩილება არაფერ შუაშია — ჩვენ ვართ პრაგმატულები და ერთგულები. პოლიტიკური პროცესი ხან წინააღმდეგობას ნიშნავს, ხან დათმობას, ჩვენზე კოალიციაში ვერავინ იტყვის, რომ არასტაბილურად ვმოქმედებთ. ამ ეტაპზე, კოალიცია მყარია და არჩევნებამდე არ დაიშლება. არ გამოვრიცხავ, მომავალში, თუ რაიმე რყევა იქნება, ჩვენ პარტია „ოცნებასთან“ კოალიციაში ვიყოთ. ჯერ პოლიტიკური ცხოვრება ისე არაა მოწყობილი, კონსერვატორულმა პარტიამ დამოუკიდებელი თამაში დაიწყოს. აუცილებლად გვჭირდება ერთიანობა და ამას, ყველაზე მეტად, „ოცნებასთან“ მივაღწევთ. ამასთან, გამორიცხულია ჩვენი პარტიის გაუქმება და „ოცნებასთან“ ან ნებისმიერ სხვა პარტიასთან შერწყმა.

— კიდევ ერთ კითხვაზე მიპასუხეთ — სახელისუფლო პარტია საარჩევნო კოდექსის შეცვლაზე ხმას არ იღებს. კონსერვატორები კოდექსის შეცვლას თუ ემხრობით და რა ფორმით?

— პირველ რიგში, ყველასთვის მისაღებ კონსენსუსს უნდა მივაღწიოთ. ჩვენი პარტია შუალედურ ვარიანტს ემხრობა სავარაუდოდ, არჩევნების რეგიონულ-პროპორციულ წესს, თუმცა თითოეული რაიონის ინტერესი გათვალისწინებული უნდა იყოს. უბრალოდ, ჯერ საბოლოოდ ჩამოყალიბებული აზრი არ გვაქვს. პარტიაში ამ თემაზე საუბარი მუდმივად მიდის, მაგრამ რაიმე კონკრეტული გადაწყვეტილება არ მიღებულა. ცვლილებები აუცილებელია, ეს ფაქტია და როცა ყველა შევთანხმდებით, ცვლილებებიც იქნება.

— როდის?

— სავარაუდოდ, წლის მეორე ნახევარში. შემოდგომით საარჩევნო კოდექსის ახალი ვარიანტი გვექნება.

სიანლე

როგორ ემზადება ქვეყანა ციფრული მაუწყებლობისთვის?

მე-6 გვერდიდან

ევროპაში ხარისხის კონტროლი და სტანდარტის თავსებადობა უფრო მაღალია, შესაბამისად, იქ წარმოებული პროდუქცია უფრო სანდოა. ყოველ შემთხვევაში, თუ ტელევიზორი T2 სტანდარტის სიგნალს იღებს, მაინც ვერ ვივარაუდებთ, რომ აუცილებლად მიიღებს ქართულ ფონტს. ფონტი ანუ შრიფტი კი საჭიროა იმისთვის, მომხმარებელმა ტელევიზორის ყურებისას წარწერები ქართულად წაიკითხოს. ხოლო ვინც ალტერნატიული სატელევიზიო პლატფორმით, მათ შორის, საკაბელო, ინტერნეტოპერატორებით, თანამგზავრული ანუ სატელიტური ოპერატორებით სარგებლობს, ეს რეფორმა არ შეეხება — არ დასჭირდებათ ტელევიზორის, ანტენის შეცვლა და არც „სეთ-თოფ ბოქსზე“ ზრუნვა, რადგან ეს აპარატურა უკვე გააჩნიათ, პლატფორმები გაციფრულებულია, ამჟამად დარჩა ტელესტრიული ანუ ღია საეთერო, მიწისზედა ტელემაუწყებლობა, რომელიც გასაციფრულებელია.

— როგორ ემზადებიან ტელევიზიები ციფრულ მაუწყებლობაზე გადასასვლელად?

— უკვე შევხვდით მაუწყებლებს, ხშირი კომუნიკაცია გვაქვს მათთან, რამეთუ მაუწყებლებისთვის დამოკიდებულება იცვლება ანუ ბიზნესი იყოფა — თუ ადრე მაუწყებელი ტექნიკურ მხარესაც აწარმოებდა და კონტენტსაც (შინაარსს) ქმნიდა, ამჯერად ამას ოპერატორი უზრუნველყოფს, მაუწყებელი კი მხოლოდ კონტენტს შექმნის. შესაბამისად, მაუწყებელი უნდა მოემზადოს, ტექნიკური აღჭურვა იმისთვის დასჭირდება, ოპერატორს შესაბამისი ტექნიკური პარამეტრების სიგნალი მიაწოდოს, რომელიც ამ სიგნალს გაასხივებს. ამჟამად, პარალელური მაუწყებლობაა ჩართული — ანალოგური და ციფრული სიგნალი ერთდროულად გადაიცემა.

— ვისაც შესაბამისი აპარატურა ექნება, თუნდაც რეგიონებში, ციფრულ მაუწყებლობას უპრობლემოდ მიიღებს?

— წესით, როდესაც ქსელი აიგება და მისი ოპტიმიზაცია მოხდება, სრული დაფარვა უნდა მივიღოთ. საქართველოს მასშტაბით უნდა არსებობდეს ციფრული სიგნალი და ქვეყნის ნებისმიერ მოქალაქეს შესაბამისი მოწყობილობით მისი მიღება შეეძლოს. ვერ გეტყვით, კონკრეტულად როდის გაიმართება ეს ქსელი, მაგრამ ზოგადად, სატელეკომუნიკაციო ქსელი ცოცხალი ორგანიზმია, რომელიც ოპტიმიზაციას განიცდის. ქსელი წელს ისეთ მდგომარეობაში უნდა იყოს, ქვეყნის ნებისმიერ წერტილში ადამიანმა ციფრული მაუწყებლობის სიგნალი მიიღოს.

ის, რაც ყველა მოქალაქემ უნდა იცოდეს!

ვისაც მხოლოდ ანალოგური სიგნალის მიმღები ტელევიზორი აქვს, ციფრული სიგნალის მიმღები აპარატურა — „სეთ-თოფ ბოქსი“ დასჭირდება, ტელევიზორის შეცვლა კი მხოლოდ იმ მომხმარებელს მოუწევს, ვის ტელევიზორსაც არ უერთდება RCA ტიპის სადენი. ტელევიზორს კი, რომლის ფუნქციონალიც საქართველოში ციფრული ტელევიზიებისთვის განსაზღვრული ტექნიკური მოთხოვნების დოკუმენტს შეესაბამება, მხოლოდ პარამეტრების გადაწყობა დასჭირდება.

ციფრული სიგნალის მისაღებად საჭიროა: კოაქსიალური (იგივე სპილენძის) და RCA შემაერთებელი სადენი. ანტენიდან შემომავალი კოაქსიალური, ანუ სპილენძის სადენი უერთდება „სეთ-თოფ ბოქსს“, თავად „სეთ-თოფ ბოქსი“ კი ტელევიზორს RCA სადენით უკავშირდება. თუ თანამედროვე ტელევიზორი გაქვთ, შეგიძლიათ გამოიყენოთ როგორც RCA, ასევე HDMI სადენი.

ციფრული მიწისზედა სატელევიზიო სიგნალის მისაღებად საჭიროა ტელევიზორთან მისაერთებელი მოწყობილობა „სეთ-თოფ ბოქსი“, რომელიც უზრუნველყოფს როგორც სტანდარტული, ასევე მაღალი გარჩევადობის სიგნალების ანალოგურ ფორმატში გარდაქმნას. ქვეყანაში იმპორტირებული „სეთ-თოფ ბოქსების“ ფუნქციონალი, ტექნიკური მოთხოვნების დოკუმენტაციაში აღწერილ სტანდარტებს უნდა აკმაყოფილებდეს. შესაძლებელია, ერთი ,,სეთ-თოფ ბოქსი“ ორ ან მეტ ტელევიზორსაც კი შეუერთდეს, მაგრამ ასეთ შემთხვევაში, ყველა ტელევიზორში მხოლოდ ერთსა და იმავე პროგრამას მიიღებთ.

რაც მთავარია, ციფრული ტელევიზია იძლევა უფრო მეტი პროგრამის გადაცემის საშუალებას — დაახლოებით, თხუთმეტი სტანდარტული გარჩევადობის პროგრამას სიხშირეთა იმ არხში, რომელიც ამჟამად გამოიყენება მხოლოდ ერთი ანალოგური პროგრამისთვის. მიწისზედა ტელემაუწყებლობის გაციფრულება უზრუნველყოფს ხმისა და გამოსახულების გაუმჯობესებულ ხარისხს, უფრო მეტი რადიო და სატელევიზიო პროგრამის ხელმისაწვდომობას, მომსახურებას, პორტაბელური და მობილური პროგრამების მიღების საშუალებას.

როგორ „გადააგდო“ ბურჯანაძის თანაპარტიელმა ბიზნესმენმა თანასაკნელი

„აქედან წადი, ვიდრე ხასიათზე ვარ, თორემ გეფიცები, მაგრად გცემ!“

პატიმარი №0578

წინა ხელისუფლების დროს, სასჯელაღსრულების დაწესებულებაში თავიანთი ბიზნესის გამოც ხვდებოდნენ, რომელიც ხელისუფლებას მოსწონდა და თუ „ტკბილი სიტყვით“ ვერაფერს ახერხებდა, „ბიზნესმენთა ლომბარდად“ წოდებული გლდანის ციხე და მისი ჯანი. გლდანის ჯოჯოხეთში მოხვედრილი ბიზნესმენები კი მაქსიმუმს აკეთებდნენ, რათა ციხიდან თავი დაეღწიათ, მით უმეტეს, პროკურორები აფრთხილებდნენ, ზონაზე გადაყვანის შემთხვევაში, ფულს ე.წ. შავი სამყარო დაგაწერთო. ბევრი ბიზნესმენი ისე იქცეოდა, რიგით პატიმრებს შორის დიდ პატივისცემას იმსახურებდა, ნაწილი კი, უბრალოდ, თავის გადარჩენაზე ფიქრობდა. ვიდრე ისტორიას გიამბობთ, გეტყვით, რომ პატიმრები პატივს გამორჩეულად „ელიტ ელექტრონიქსის“ ყოფილ მფლობელს, ანზორ ქოქოლაძეს სცემდნენ, რომელიც, მორალურად, თითოეულს ამხნევებდა და შეეძლო, საათობით ესაუბრა, თუ რატომ უნდა ებრძოლათ გადარჩენისთვის და ეფიქრათ მომავალზე...

გლდანის ციხის „ა“ კორპუსზე ბადრაგმა საკნის კარი გააღო და კამერაში მყოფებს გასძახა: „ახალია, მიიღეთ, ოღონდ არ შეჭამოთ“...

ახალი პატიმარი საშუალოზე დაბალი იყო, 50 წლის იქნებოდა, კამერაში დასჯილი ბავშვივით შემოვიდა, ხელები ზურგსუკან ეწყო და დამფრთხალი თვალებით შეათვალიერა საკნის ბინადრები.

„ხელში რამეს მალავ?!“ — მშვიდად ჰკითხა პატიმარმა №0578-მა.

„არა, რას უნდა ვმალავდე?!“ — ყბა აუკანკალდა შემოსულს.

„აბა, ჩამოუშვი ხელები, უკანალზე რომ გიდევს და ისე გველაპარაკე. გიცნობ მე შენ, თემური ხ. ხარ, შენც მიცნობ, ნინო ბურჯანაძის შტაბში იყავი წინასაარჩევნოდ. ეგ არ გაპატიეს, ალბათ, ხომ?!“ — ჰკითხა №0578-მა.

„ჰო, ნინოსთან ვიყავი, მაგრამ არ მახსოვხარ“, — თემური პატიმარს ყურადღებით დააკვირდა.

„მე ერთხელ ვიყავი რაღაც საქმეზე, იქიდან დამამახსოვრდი, რაღაცას ამბობდი, ფულით უნდა დავამარცხოთ ესენი, სხვანაირად არ გამოვაო. ასე მგონია, ეგ სიტყვები მიუტანეს ამათ და იმ დასამარცხებელ ფულს გედავებიან სწორედ“, — გაუღიმა №0578-მა.

„ფინანსური შემოვიდა ჩემს ფირმაში, რვა ათასი ლარის დარღვევა აღმომიჩინა და ახლა მილიონს მთხოვენ. არ გადავიხდი, ჩავჯდები და არ გადავიხდი, მილიონი რომ ამათ მივცე, ბინაც კი უნდა გავყიდო“, — თემურმა ლამის ტირილი დაიწყო.

„ეგ შენი გადასაწყვეტია. ახლა წვერი გაიპარსე, თორემ მაგაზე შემოგარტყამენ. ახალი საპარსი მანდ დევს, უჯრაში, ქაფიც მანდ არის, სარკეს კი ხედავ. მიდი და მერე ვილაპარაკოთ“, — უთხრა №0578-მა და გაზეთის კითხვა განაგრძო.

თემურმა პარსვა დაიწყო და მოულოდნელად იღრიალა. ყვირილი იმდენად ძლიერი იყო, რომ ბადრაგი შემოვარდა. თემურს სახე მთლიანად სისხლიანი ჰქონდა, ხელს იჭერდა ცხვირთან, მაგრამ სისხლი თქრიალით მოდიოდა.

„რა მოხდა?!“ — იკითხა ოფიცერმა და თან რაციაში ჩასძახა, სასწრაფოდ რეჟიმი გადმოვიდესო.

რეჟიმს წინ ოლეგ ფაცაცია მოუძღვოდა. კამერაში შესვლისთანავე ჯერ თემურს შეხედა, მერე მზერა №0578-ს მიაპყრო.

„რა მოხდა? შეჭამეთ, ხომ? გაიგეთ, ფული აქვსო და დაესიეთ, არა?!“ — ირონიულად იკითხა ფაცაციამ.

პატიმარმა თემურს გახედა და მანაც, როგორც შეეძლო, ისე დაიწყო: „წვერს ვიპარსავდი და ტუჩი გამეჭრა, ამათ არაფერი უქნიათ“.... მერე სახიდან ხელი მოიცილა და სისხლმა ისევ იფეთქა. თემური კამერიდან გაიყვანეს და უკან ერთ საათში დააბრუნეს. ზედა ტუჩზე, ცხვირს ქვემოთ, სამი ნაკერი ედო.

„რა ქენი ასეთი, სახე რომ დაიჩეხე?!“ — ჰკითხა კამერაში დაბრუნებულ ბიზნესმენს №0578-მა.

„ფიქრებში წავედი, ხელი ამიკანკალდა და არც კი ვიცი როგორ, საპარსი ტუჩზე ჩამოვისვი და ლამის ჩამოვითალე“, — უხერხულად გაიღიმა თემურმა.

იმავე საღამოს №0578-მა ბიზნესმენს თავის ბარათი მისცა — ვიდრე დაგიმზადებენ და ფულს დაგირიცხავენ, რაც გინდა, ამოიტანე, მერე გავსწორდებითო. თემურმა 40 ლარის პირველადი მოხმარების ნივთები ჩაწერა და №0578-ს უთხრა, ამას არასოდეს დაგივიწყებო.

მერე დაიწყო ადვოკატებისა და პროკურორების სიარული, თემური კამერიდან დღეში რამდენჯერმე გაჰყავდათ და უკან სულ უფრო და უფრო ცუდ ხასიათზე ბრუნდებოდა. პროკურორი ყოველ შეხვედრაზე თანხას უმატებდა და თუ აქამდე მილიონს ითხოვდა, ახლა თავისუფლება 1.8-მილიონად დაუფასეს. ამას ისიც ემატებოდა, რომ ადმინისტრაცია ბარათის დამზადებას აჭიანურებდა და თემური №0578-ის კმაყოფაზე იყო. ბოლოს, როგორც იქნა, შეთანხმება შედგა და თემურმა ციხე ორი მილიონის სანაცვლოდ დატოვა.

„გავალ თუ არა, ბარათზე იმდენს დაგირიცხავ, კარგა ხანს გეყოფა. მადლობა ყველაფრისთვის. როგორც მიპოვო და სადაც მიპოვო, კი იცი შენ და აქედან რომ გამოხვალ, აუცილებლად მნახე. ციხიდან გასულ კაცს ყველაფერი სჭირდება. შენ რომ არა, კაცმა არ იცის, აქ რა დამემართებოდა“, — გასვლის წინა დღეს დაიბარა თემურმა და წავიდა.

„აგეწყო, ძამია, საქმე. ასეთი კაცი რომ სიტყვას დაგიბარებს და მერე რა სიტყვას... მთელი „სროკი“, რაც იჯდა, შენ არჩინე და დაგიფასებს რომ გახვალ“, — უთხრა №0578-ს ქუთაისელმა პატიმარმა.

„ჯერ ერთი, ეგ შენი „მთელი სროკი“, სულ რაღაც, 2 თვე იყო და მეორეც, იმიტომ არ მირჩენია, ეგ დაებარებინა. არ იყო აქ მაგის ადგილი, კი ნახეთ თავადაც და გადატანა გაუჭირდებოდა. ეგ რომ გავა გარეთ, იმას მაინც იტყვის, კაციჭამიები არ სხედან, იქაც ადამიანები არიანო და ეგ არის მთავარი. სულ რომ არაფერი დარიცხოს, ამას მაინც იტყვის“, — უპასუხა №0578-მა.

მესამე დღეს №0578-ის ბარათზე 200 ლარი დაირიცხა. პატიმარმა ხმამაღლა გადაიხარხარა: „არაფრის გამკეთებელი არ არის თემურა, ზუსტად იმდენი დარიცხა, რამდენიც დახარჯა. ასეა, გარეთ სხვანაირად ფიქრობენ, სხვა ფსიქიკა და ლოგიკა აქვთ. მილიონი არ მაქვსო და ბოლოს ორი მილიონი გადაიხადა, თან ბინაც არ გაუყიდია. ეჰ, თემო, თემო... კაცმა არ იცის, ბედი რას გვიმზადებს და წინ გახედვა ვერც აქაურობამ გასწავლა“...

ეს თქვა და თემურის დარიცხული ფულით მთლიანად საჭმელი ამოიტანა.

პატიმარი №0578 სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან ორი წლის შემდეგ გათავისუფლდა. თემური ხ. საერთოდ არ გახსენებია, თავის საქმე და საკეთებელი ჰქონდა. ერთ დღეს მეგობარი ესტუმრა.

„კი იცი შენ, თუ რამე მებადა, გავყიდე და დავაგირავე და 250 ათას ევროდ ტრაქტორი ჩამოვიყვანე. ეს ტრაქტორი ახლა რკინიგზას ჰყავს დაქირავებული, დღეში 800 ლარს მიხდის, მაგრამ რად გინდა, გაფუჭდა და ნაწილი აქ არ იშოვება. სამი ათასი ევრო ღირს ნაწილი, ფული მაქვს, მაგრამ ჩამომტანი მხოლოდ ერთი კაცია და იქნებ მიმყვე, ან დამიჩქაროს, ან რამე ქნას. ბოლოს მითხრა, ორი თვე უნდა მოიცადოო. ორი თვე რამხელა ფულია, კი ხვდები და ესეც არ იყოს, ზუსტად ვიცი, აქაურ საწყობში უდევს მაგას ის ნაწილი და შეგნებულად არ მაძლევს, უნდა, თანხა გაზარდოს. ასე მითხრეს, შენ იცნობ იმ კაცს და მიმყევი, თუ ძმა ხარ“, — №0578-ის მეგობარი ლამის ტოროდა.

„ვინ არის?!“ — დაინტერესდა პატიმარყოფილი.

„თემური ხ. ბიზნესმენია, შენთან მჯდარა, ასე მითხრეს და დიდ პატივს სცემსო“, — აუხსნა მეგობარმა და ორ საათში №0578-მა თემურის კაბინეტის კარი შეაღო.

„ამას ვის ვხედავ, შენ შემოგევლე, ჩემო ძმაო. ნახევარი წელია, გამოვიდაო, გავიგე და ასე უნდა ძმაკაცობა? რატომ არ მნახე? რა გიჭირს, რა გილხინს... რამ შეგაწუხა, თუ რამე გინდა, აქ ვარ და მიმსახურე“, — სიხარულით ლამის ცეკვა დაიწყო თემურმა.

„ჯერ ერთი, თუ გაიგე, რომ გამოვედი, ტელეფონი ზეპირად გახსოვდა ჩემი და დაგერეკა; მეორეც, ამას ვიზამ, იმას ვიზამ, ჩიტის რძე არ მოგაკლდება მე რომ გარეთ ვიქნებიო, კი დაიბარე შენ და იმ 200 ლარის გარდა, რაც შეთქვლიფე, არაფერი დაგირიცხავს. მესამე, ჩემი ბრატი იყო მოსული შენთან რაღაც ნაწილზე. ეჭვი მაქვს, იცოდი, რომ ჩემი ძმაკაცია და მაინც უარით გამოუშვი. თუ გინდოდა, მე მოვსულიყავი, აქ ვარ ახლა და მიეცი ის ნაწილი, ფულს იხდის, საჩუქრად არ უნდა“, — შეუბღვირა №0578-მა და თემურის საზეიმო განწყობაც მაშინვე გაქრა.

„ვიცი, როგორ არ ვიცი... პირობაც მახსოვს, მაგრამ ყველაფერი თავზე დამემხო, ორი მილიონი წამართვეს ამ უსისხლოებმა. შერცხვენილი ვარ შენთან. შენს მეგობარს რაც შეეხება, არ უხსენებია შენი სახელი. ნაწილი არ მაქვს აქ, ჩამოვუტან, მაქსიმუმ, ორ კვირაში და შენი ხათრით სამას ევროსაც დავუკლებ“, — სხაპასხუპით თქვა ბიზნესმენმა.

„თვეში ასი ლარი არ გაგაღარიბებდა, მაგრამ ეგ დაივიწყე. ორ კვირაში ეს კაცი 14-ჯერ რვაას ლარს დაკარგავს. არ მინდა დაკლება, საწყობში გაქვს და ეგ მომეცი“, — შეუტია №0578-მა, მაგრამ თემური არ დანებდა.

„არ მაქვს საწყობში, ჩამოსატანია. მე სხვა არ შემიძლია და, თუ უკეთესი ვარიანტი გაქვს, მიბრძანდი“, — მბრძანებლური ტონი გაურია საუბარში მასპინძელმა და №0578-მაც კარი ღიმილით გაიხურა.

„შენ ეს მითხარი, შენს გარდა, ვის ჰყავს კიდევ ასეთი ტრაქტორი?!“, — ჰკითხა პატიმარყოფილმა მეგობარს.

„ლევანს ჰყავს, მაგრამ საათივით მუშაობს. რაო, რა გითხრა მაგ ოჯახქორმა?!“ — ვეღარ მოითმინა ძმაკაცმა.

„რაო და, ეგ ლევანი ვნახოთ ახლა, ვიცნობ მაგასაც კარგად“, — ჩუმად თქვა №0578-მა და ერთ საათში უკვე ლევანის კაბინეტში იჯდა.

„ლევან, ძმობას გაფიცებ, თემურასთან მიდი, უთხარი, ეს ნაწილი გამიფუჭდა და სასწრაფოდ მინდა-თქო. 5 ათასი ევრო შეაძლიე და მოგცემს. თანხას ხვალ მოგიტან და ნაწილი დღეს გამატანე-თქო. გენდობა ეგ, შანსი არაა, არ გენდოს და თუ ამას გააკეთებ, მე ვიცი შენი პატივისცემა“, — უთხრა №0578-მა.

ორი საათის შემდეგ, თემურის საწყობის კარი გაიღო და ლევანმა ნაწილი წამოიღო. „რა უთხარი ასეთი, მაფიცა და მაგინა, №0578 თუ შეგხვდეს სადმე, არაფერი წამოგცდეს, მომკლავსო“, — ღიმილით უთხრა ლევანმა.

№0578-მა არაფერი უპასუხა, ნაწილი მეგობარს გაატანა და ლევანს დაუბარა, თემური ფულს რომ მოგთხოვს, უთხარი, №0578-ს აქვს ჩემი ვალი, არ მიბრუნებს, დღეისთვის დამპირდა და ეგებ, შენ გამოართვა-თქო.

მართლა ვერ წარმოიდგენდა №0578, რომ მეორე დღეს თემური ხ. სახლში ეწვეოდა.

„მომისმინე, ძმაო, ლევანს ვალი აქვს ჩემი, შენ ლევანის ვალი გქონია და უნდა მიშველო. გერმანიაში მივდივარ, იმ შენი ძმაკაცის ნაწილიც ჩამოსატანია და სხვა რამეც. შეძლებ დღეს მომცე ფული?!“ — ისე მშვიდად თქვა თემურმა, №0578-საც კი გაუკვირდა.

„აჰა, შენ, თემო, სამასი ევრო, მაგ თანხად შემაფასე გუშინ და მშვიდად იყავი, მეტს ვერ მიიღებ. იწუწუნებ და რაც გაქვს, იმასაც დაკარგავ. სხვა დროს კი გეცოდინება, რომ ურთიერთობა ფულით არ იზომება. ახლა აქედან წადი, ვიდრე ხასიათზე ვარ, თორემ გეფიცები, მაგრად გცემ“, — უთხრა №0578-მა. თემურმა ჯერ გაპროტესტება დააპირა, მერე კი სამას ევროს ხელი დაავლო და გარეთ გავარდა.

***

ერთი წლის წინ, თემურ ხ. ოფიციალურად გაკოტრდა და მევალეებს გერმანიაში გაექცა.

ვერსიანიუსი

შსს-ს თანამშრომლებმა ხონში საქველმოქმედო აქცია გამართეს

შინაგან საქმეთა სამინისტრო განაგრძობს საქველმოქმედო აქციას სიღარიბის ზღვარსმიღმა მყოფი ოჯახების დასახმარებლად. შსს-ს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, საქველმოქმედო აქციის ფარგლებში, ხონში მცხოვრები მუშკუდიანების შეჭირვებული ოჯახი საკვები პროდუქტით მოამარაგეს. შს სამინისტრომ ქვეყნის მასშტაბით სოციალურად შეჭირვებულ 2000-ზე მეტ ოჯახს გაუწია დახმარება.

შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის სოციალური პასუხისმგებლობა ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. უწყება, საქველმოქმედო აქციის ფარგლებში, სოციალურად შეჭირვებული მოსახლეობის დახმარებას მომავალშიც განაგრძობს.

სამართალდამცავებმა ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა ამოიღეს

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის მეორე მთავარი სამმართველოს პირველი სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული სამძებრო-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1988 წელს დაბადებული ბექა ნ. ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ბრალდებით თბილისში, რამიშვილის ქუჩაზე დააკავეს.

სამართალდამცველებმა დაკავებულის საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას „ტე-ტეს“ ტიპის არარეგისტრირებული პისტოლეტი, 1 მჭიდი და 3 საბრძოლო ვაზნა ამოიღეს.

გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით).

„ვერსიანიუსი“

გელა ქოქიაშვილი

ქვათა მატიანე

კალაურნი– პალატები მთავართა

ჭერემის ქვეყანა

გურჯაანიდან თელავისკენ მიმავალნი, როგორც კი შაშიანს გავცდებით, კალაურში მოვხვდებით, ხოლო კალაურს მერე — ვაჩნაძიანში.

ადრე ადმინისტრაციულ-გეოგრაფიულ ტერმინებს სავაჩნაძეოს თუ ვაჩნაძიანს სხვა დატვირთვა ჰქონდა. ასე მოიხსენიებოდა კოლაგიდან აკურამდე ჩარიგებული თავადი ვაჩნაძეების მამულები, სოფელი ვაჩნაძიანი კი მხოლოდ XIX საუკუნეში შეიქმნა კალაურის გაყოფის შედეგად. უფრო დიდი კალაური ხევის მარჯვენა სანაპიროზე დარჩა, შედარებით მცირე ვაჩნაძიანი — მარცხენა სანაპიროზე.

ახალ სოფელს ვაჩნაძიანი იმიტომ დაერქვა, რომ თავად ვაჩნაძეების რეზიდენცია კალაურის ამ უბანში დარჩა. ორ სოფელს ამჟამად ერთმანეთში უაზრო კამათი აქვს იმაზე, თუ რომელია უფრო ძველი სოფელი და ვის რომელი ძეგლი ეკუთვნის.

ერთიანი სოფლის — **კალაურის** (კალაურნი) არსებობა წერილობითი წყაროებით 1392 წლიდან დასტურდება, იგი საკათალიკოსო სოფლების ნუსხაში ასეა ჩართული: **„...სოფელი ნაპირი, სოფელი შანშიანი, სოფელი კალაური, სოფელი ვანთა, სოფელი აკურა“**. 1398 და 1455 წლების საბუთების მიხედვით, კალაური ერთზე მეტ დასახლებას რქმევია, გამოყენებულია სიტყვა **„კალაურნი“**. საინტერესოა ზოგიერთ ძველ საბუთში კალაურისა და შაშიანის ერთად ხსენება — „შაშიან კალაურის თემი“

ვაჩნაძიანი, როგორც სოფელი, მხოლოდ XIX საუკუნიდან ჩანს, მაგრამ იმავდროულად იგი კალაურის ძველი უბანია. უფრო მეტიც — ტოპონიმი „კალაურნი“ (ციხეს-მაგრეებიანი დასახლება) სწორედ იმ ციხე დარბაზებიდან და კოშკებიდან მომდინარეობს, რომლებიც ვაჩნაძიანში დარჩა.

უშუალოდ ვაჩნაძეები დასაბუთებულად პირველად XIII საუკუნიდან გამოდიან პოლიტიკურ სცენაზე — რუსუდან მეფეს თავისი სახლთუხუცესი ვაჩნაძე სავეზიროში შეუყვანია. ამას XIV ს-ის წყარო გვეუბნება.

საინტერესოა, რას ფიქრობდნენ თავიანთ წარმომავლობაზე თვით ვაჩნაძეები. იოანე ბატონიშვილის წიგნში „აღწერა საქართველოს თავადთა და აზნაურთა“ ალბათ სწორედ მათი მოსაზრებაა შეტანილი. წიგნში ნათქვამია, რომ ისინი „პირველ იყვნენ მოსრულნი კიტაიას მხრიდან“ სომხეთის ქალაქ ვანში. ეს ამბავი 268 წელს მომხდარა. მათ აქ მამიკონიანების გვარიც მიუღიათ და სპასპეტის სახელიც. დიდი ხნის შემდეგ, X საუკუნეში, სომხეთის მეფე სუმბატის სურვილითა და შუამდგომლობით, ისინი ხორნაბუჯში დაფუძნებულან. ვაჩე მამიკონიანის გამო, ვაჩნაძეები გამხდარან და კახეთში მამულები მიუღიათ. ამ გვარის ერთ-ერთი განშტოება, კოლაგში მცხოვრები ონანიშვილებისთვის 1695 წელს ერეკლე პირველს ამოწყვეტილი ვაჩნაძეების გვარი, პატივი და მამულები მიუცია. 1711 წელს ამ გვარის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა ქაიხოსრომ კალაურის მკვიდრი მამულები პაატა ჯანდიერს მიჰყიდა და გაუთავებელი დავაც ამის შემდეგ დაიწყო. 1800 წელს ჯანდიერები მეფე გიორგი XII-ს მოახსენებდნენ, რომ კალაურელები იარაღით დასდევდნენ და ავიწროებდნენ. მეფეს უპასუხია — ჩამოვალ და საქმეს ადგილზე გავარჩევო, მაგრამ გიორგი მეფე იმავე წელს გარდაიცვალა და საქართველო რუსეთმა შეიერთა. საფიქრებელია, რომ კალაურის ორად გაყოფა სოფლისა და ჯანდიერების დაპირისპირების გაგრძელების შედეგია. ჯანდიერებს ვაჩნაძეებისგან ნაყიდი მკვიდრი მამული — კალაურისხევის მარცხენა სანაპიროს ძველთაძველი სასახლეები, ციხე-კოშკები და ეკლესიების დიდი ნაწილი დარჩათ.

ვაჩნაძიანის „პალატები“: კარის ეკლესია „წმ.მარინე“ და სასახლის ნაშთები

მთელი ამ ისტორიის გადმოცემა იმისთვის დამჭირდა, რომ ჩემს შემდეგ კალაურ-ვაჩნაძიანში ჩასული კაცი რამდენადმე შემზადებული მაინც დაუხვდეს კალაურელთა გაუთავებელ დავას მიწებისა და საყდრების კუთვნილებაზე, რომლებიც საერთო სახელმწიფო, ეროვნული საკუთრებაა.

რაკი ვაჩნაძეებსა და ჯანდიერებზე ამდენი ვისაუბრეთ, სოფლების შემოვლა სწორედ ციხე-კოშკებიანი ადგილიდან ანუ **გოჯიაურებიდან** (სოფელი ვაჩნაძიანი) უნდა დავიწყოთ. პირობითად, ეს უბანიც ორ ნანილად იყოფა: ქვემო მონაკვეთად და ზედა მონაკვეთად ანუ პალატებად.

თავდაპირველად, მღვრიეხევის მარჯვენა ნაპირზე, სასაფლაოზე მდგარ გვიანი შუასაუკუნეების **გომართის კომპლექსს** ვათვალიერებთ. გალავნიან ეზოში ახალაღდგენილი მცირე ეკლესია და სატრაპეზოს ნაშთია, იქვე, კახური ტრადიციის თანახმად, რამდენიმე ქვევრი წევს. გომართის ეკლესია ჩრდილოეთით უყურებს მის ტოლ, მაგრამ გაცილებით ძველ „მამაშაურს“ — IX-X საუკუნეების მიტოვებულ საყდარს. იგი მღვრიეხევის მარცხენა ნაპირზე, ზედ ქარაფის თავზე დგას. ვაჩნაძიანის ამ უბანს **ბაბიაურები** ჰქვია, მაგრამ უფრო საინტერესოა ტოპონიმი **„მამაშაური“**. ვეჭვობ, ეს „ნამაშაურის“ სახეცვლილი ფორმაა. ადრე მაშა და ცერცვი ერთი და იგივე ყოფილა (იხ. სულხან-საბას „სიტყვის კონა“). ეს კი იმაზე მიგვანიშნებს, რომ ბაბიაურების უბანში ადრე ცერცვი უთესიათ. ერთი სიტყვით, ეს ადგილი ნაცერცვარი, ნამაშაური გამხდარა. „მამაშაური“ (5,75X4,2 მ.) აშენებულია დიდი და მცირე რიყის ქვის ირეგულარული წყობით. მას კარი ჩრდილოეთით აქვს, ხოლო სარკმლები დასავლეთით და აღმოსავლეთით. ამ უკანასკნელს შირიმის ქვის თავსართი და ქუსლებიანი წარბი აქვს. ტაძარს კამარა შენარჩუნებული აქვს, კარის ღიობი კი — მოშლილი.

...მაგრამ ჩვენ მღვრიეხევის მარჯვენა სანაპიროს დავუბრუნდეთ და გოჯიაურებს ავაკითხოთ, სადაც ჯგუფ-ჯგუფად 4 კოშკი და 4 ეკლესია დგას. ყოველი მათგანი გვიანი შუასაუკუნეებისაა. ორი კოშკი ოთხი სართულის დონეზეა შემონახული, შიგნით ორთავეს უამრავი ნიშა და სათოფური აქვს, ორ-სამგან კი სხვადასხვა ზომის ბუხარი. კოშკებში სართულებსშორისი გადახურვის კოჭები აღარ არსებობს. ამ ორ კოშკთაგან ერთი წაგრძელებული და ფართოა. მასში უზარმაზარი ხე ამოსულა და გადაწოლილა. ეკლესია ამ კოშკთანაც დგას და მეორე კოშკთანაც, მესამე კოშკი კალაურისხევს გადასცქერის და ისიც ოთხსართულიანია, მაგრამ თითქოს უფრო მცირეა. მეოთხე ცილინდრული კოშკისგან, რომელიც გზიდან დასავლეთითაა, მხოლოდ სართულნახევარია გადარჩენილი. მისგან ჩრდილო-აღმოსავლეთით, 50 ნაბიჯზე ასეთივე დაზიანებული ეკლესიაა. კოშკების და ეკლესიების სახელი უცნობია, ხალხმა მხოლოდ ის იცის, რომ ცილინდრული კოშკიდან მოშორებით, ჩრდილოეთით მდგარი ეკლესიაა ღვთისმშობლის. იგი XVIII საუკუნისაა და ახალი აღდგენილია. შიგნით ჯანდიერები არიან დაკრძალულნი.

სოფელში გვიანი შუასაუკუნეების კიდევ არაერთი ეკლესიაა, მაგრამ ჩვენ გოჯიაურების ტერიტორიაზე იმიტომ გავამახვილეთ ყურადღება, რომ იგი კალაურ-ვაჩნაძიანის (და არა მარტო მათი) მეპატრონეების — ვაჩნაძეებისა და ჯანდიერების სამკვიდრო ალაგი იყო. გუჯიაურების ზედა მონაკვეთში, რომელსაც **პალატები** ჰქვია, კიდევ უფრო მსხვილ ნაგებობებს — სასახლეს და მის კარის ეკლესიას **„წმინდა მარინეს“** ვხვდებით. სასახლეცა და ეს სამეკლესიანი ბაზილიკაც IX საუკუნის ნაგებობებია. ისინი მოგვიანებით ვაჩნაძეებს, კიდევ უფრო გვიან კი ჯანდიერებს ეკუთვნოდათ.

ბაზილიკის კამარამორღვეულ სამხრეთ ეკლესიაში შემონახულ ორ საფლავის ქვაზე უმამაცესი პოლკოვნიკის, გიორგი როსების-ძე ჯანდიერის (იგივე დროშაგიორგის) და მისი მემკვიდრის, ცნობილი მეცენატისა და მამულიშვილის, არაერთი მაზრის უფროსის, თავად ლევან ჯანდიერის სახელებია ამოკვეთილი.

ბაზილიკის ჩრდილოეთ ეკლესია და დასავლეთის გარშემოსავლელი აღარ არსებობს. მათზე მინიშნებას აკეთებს ძირითადი ეკლესიის კედლის შუა რეგისტრებში ჩარჩენილი კამარის ნაშთები. აღსანიშნავია ისიც, რომ ჩრდილოეთ ეკლესიას აფსიდი არ ჰქონია და ძირითად ეკლესიას მხოლოდ გარშემოსავლელით უკავშირდებოდა. „წმ. მარინეს“ აღმოსავლეთით, ოცდაათ მეტრში გვ. შუასაუკუნეების მცირე საყდრის ნაშთებია.

ორსართულიანი სასახლე ბაზილიკიდან სამხრეთ-დასავლეთით 40 ნაბიჯშია, მისგან მხოლოდ კედლებია გადარჩენილი და ისიც არასრულად. ეს სასახლე თავისი ზომებით (30X11 მ) ველისციხის სასახლესაც აღემატება და ვანთის სასახლესაც. ის, რომ ძველთაძველი კალაური დიდი ალბათობით ჭერემის ქვეყნის საერო ხელისუფალის რეზიდენცია იყო, ამას მარტო გოჯიაურებისა და პალატების ეს კომპლექსები როდი ადასტურებს. ამჟამინდელი ვაჩნაძიანის ჩრდილოეთ უბანში, ცენტრალური საავტომობილო ტრასის გადაღმა და მღვრიეხევის დაყოლებაზე, IX საუკუნის კიდევ ერთი სამეკლესიანი ბაზილიკის და ორსართულიანი სასახლის ნაშთებია.

ადგილს, სადაც ბაზილიკა დგას, ულენჯიანი ჰქვია, ნადარბაზევის ადგილს კი კაკლიანი, ახლა აქ ერთგან ვენახებია, მეორეგან ბაღები.

ვის სახელზეა აგებული და ნაკურთხი ეს ტაძარი, სოფელში არავინ იცის. სანაცვლოდ შემორჩენილია მისი მეტსახელი — **„ყვავის საყდარი“**, რომელიც მთელ საქართველოში ერთ თარგზე მოჭრილი გადმოცემის ანარეკლია. ასეთი ტაძარი ჩვენში არაერთია.

ვაჩნაძიანის „ყვავის საყდარი“ თავის დროზე ალბათ ვერავისგან დაიწუნებოდა, ახლა კი თავისი მდგომარეობით, პალატების ბაზილიკაზე უარეს უარეს დღეშია. გარდა იმისა, რომ განაპირა ეკლესიები სანახევროდ მორღვეული აქვს, კამარაც აღარ შემორჩენია, ხოლო იქვე მდებარე ვენახის პატრონს ნაგავსაყრელად უქცევია.

საკუთარ ნანგრევებსა და ჯაგებშია ჩაფლული სასახლის მსგავსი შენობაც, რომელსაც ადგილობრივებმა **ნადარბაზევი** დაარქვეს, არადა თავის დროზე ეს ნაგებობა საკმაოდ მკვიდრი და მოზრდილი ყოფილა (22X10,5 მ.).

რა უნდა ვიფიქროთ: IX საუკუნის ეს შენობაც ჭერემის ქვეყნის დიდაზნაურის (ერისთავის) ერთ-ერთი რეზიდენცია იყო თუ სავაჭრო გზაზე მდებარე რაიმე პუნქტი, თუნდაც საბაჟო?

მაგრამ მთავარი კითხვა ეს არაა. უწინარესად სხვა რამაა გასარკვევი: **ვინ და რა ჩამომავლობის კაცი იყო ეს დიდაზნაური? წინა წერილებში (ორგუმბათიანი შედევრი“ და „ვაზისუბნის გამოცანები“) ამ შეკითხვაზე პასუხის მისაღებად ერთგვარად შევამზადე კიდეც მკითხველი, ახლა კი დროა, ფრჩხილები ბოლომდე გავხსნათ, ამიტომ ელოდეთ მომდევნო, დასკვნით წერილებს.**

ავტორის ფოტოები

ვაჩნაძიანი: „ნადარბაზევი“, „ყვავის საყდარი“, „გომართის ღვთისმშობელი“, „მამაშაური“, გოჯიაურების „ღვთისმშობელი“ და ერთ-ერთი კოშკი

1. ფეხ-ბურთის სათამაშო არენა
2. თვით-მფრინავის კიბე
3. ნახე-ვარდოლის მსგავსი საკრავი
4.ნავთობის ექსპორტიორ ქვეყანათა ორგანიზაცია
5. იგივეა, რაც თილ-ისმა
6. ჰაერის გასაწმენდი მოწყობი-ლობა
7. „შვე-როლეს“ მოდელი
8.ფაშისტთა საკონცენ-ტრაციო ბანაკი
9.მხარეთა თანასწო-რობის პრინციპი
10. სპარსი პოეტი ... განჯეელი
11. ძვირფას-მერქნიანი ხე
12. (არაბ.) ავი სული, ეშმაკი
13.ცნობილი პიროვნების საუბარი ჟურნალისტ.
14.დანიის ადმინისტრ. ტერიტორ. ერთეული
15. მხარე, მიდამო
16. კანი ფრჩხილის ირგვლივ
17. „მო-ნანიების“ რეჟისორი
18. კოლხეთი ანტიკურ წყაროებში
19. ტბა დუშეთის რაიონში
20.იგივეა, რაც მცირე აზია
21. შინაური ცხოველი
22. წყნარი ამინდი ზღვაზე
23. თვალიდან გამონადენი სითხე
24. მწერალი ... იოსელიანი
25. მდინარე დასავლეთ საქართ-ველოში
26. პერუს დედაქა-ლაქი
27. საკლე-სიო ცენტრი ისტორიულ ტაოში
28. საქა-რთველოს ეროვნული გმირი
29. ლე-გენდარული ამერიკელი მძლეოსანი
30. ტრადიციული სახალხო დღესასწაული ლათინურ ამერიკაში
31.ბურთის გასვლა სათამაშო მოედნიდან
32. რუსული ჯაჭი
33. დროის მაჩვენებელი ხელსაწყო
34. მტაცებელი ფრინველი
35. ხვადის საპირ-ისპირო
36. თბილი-სის უბანი
37. გრძელი ურემი
38. თქმულება ღმერთების შესახებ
39. მყუდრო, უშფოთველი ცხოვრება
40. სამ-კურნალო მცენარე
41. პარტია ჩოგბურთის თამაშში
42. გერმანული გვარების წინსართი
43.ბავშვის შესაძინებე-ლი საფ-რთხობილა
44.ნაყინ-შერეული რძიანი ყავა
45. მუსი-კალური გამის III ნოტი
46. დედამიწ. ბრტყელი გამოსახ-ულება
47.აღმა-შენებლის ერთ-ერთი ასული
48. კალათ-ბურთის საერთაშ. ასოციაცია
49. კაბო-ვერდეს დედაქალაქი
50. მოგ-ზაური ... ამუნდსენი
51. სანე-ლებელი მცენარე
52. ეგვიპტის ნახევარ-კუნძული
53. თხელი, საფლობი ტალახი
54. ღვინ-ისფერი, შინდისფერი
55. ფოსო თვალის ქვეშ
56. მძლეოს-ნობის სპორტული არაული
57. ღორის ნაშიერი
58. ვალის გადახდის უზრუნველ-საყოფად ჩაბარებუ-ლი ნივთი
59.ებრაულ-თა მეფე სოლომონის დედა
60. საქონლის საკვები ბალახი
61. ნესვის ხე
62. ფრანგი ნობელი-ანტი მწერალი
63. ახალზელანდიური უფრთო ფრინველი

ევროპაში „ახალი ქვეყანა“ გაჩნდა

ჩეხმა ვიტ ედლიჩკამ, რომელიც „თავისუფალი მოქალაქეების პარტიის“ წევრია, სერბეთსა და ხორვატიას შორის, თავისუფალ ტერიტორიაზე ახალი ქვეყანა — ლიბერლენდის თავისუფალი სახელმწიფო დააფუძნა და თავი მის პრეზიდენტად გამოაცხადა, მისი ფართობი კი მხოლოდ 6 კვადრატული კილომეტრია. ედლიჩკას თქმით, ევროპულ ქვეყნებს მათ შორის არსებულ თავისუფალ ტერიტორიაზე პრეტენზია არ აქვთ. ლიბერლენდის დევიზია — „იცხოვრე და სხვებსაც მიეცი ცხოვრების საშუალება“. ახალი სახელმწიფოს დამფუძნებლებს სურთ ისეთი საზოდაგოების შექმნა, სადაც ღირსეული ადამიანები ღირსეულად იცხოვრებენ ზედმეტი აკრძალვებისა და გადასახადების გარეშე. ჩვენი იდეალი მონაკო, ლიხტენშტეინი და ჰონგკონგია, — აცხადებს „პრეზიდენტი“ და ირწმუნება, რომ ათეულობით თხოვნა მიიღო ლიბერლენდის მოქალაქეობაზე, სადაც გადასახადები მხოლოდ ნებაყოფლობითი იქნება.

ყველა მარკის სიგარეტს ერთნაირი კოლოფით გაყიდიან

საფრანგეთის ხელისუფლებამ თამბაქოსთან დაკავშირებით ახალი კანონი მიიღო— ახლა ყველა მარკის სიგარეტი ერთნაირი შეფუთვით გაიყიდება. ყველანაირი სიგარეტი მაღაზიის დახლებზე ერთსა და იმავე ფერისა თუ ზომის კოლოფით, სტანდარტული წარწერებით მოხვდება. ქვეყნის ხელისუფლებამ აკრძალა ლოგიტოპისა და ემბლემის დატანება. ფრანგი კანონმდებლები მიიჩნევენ, რომ ახალი კანონი პროდუქტს ნაკლებად მიმზიდველს გახდის და მწეველთა რაოდენობაც ნელ-ნელა შემცირდება. ახალი კანონი საფრანგეთში მალე ამოქმედდება, მანამდე კი სიგარეტის კოლოფის გაფორმება ჯერ ავსტრალიაში აკრძალეს, შემდეგ ირლანდიაში, მალე კი მათ დიდი ბრიტანეთიც მიბაძავს.

მეუღლეს ერთი წლის სამყოფი საჭმელი მოუმზადა

ამაზე საუბარი, შეიძლება, მიღებული არ არის, მაგრამ ქალის გულისკენ მიმავალი გზაც, შესაძლოა, კუჭზე გადიოდეს. 26 წლის ჩინელ ჩჯაო მეის, ჩანს, ამქვეყნად საუკეთესო ქმარი ჰყავს. ვიდრე არმიაში სავალდებულო სამსახურის მოსახდელად წავიდოდა, 27 წლის ინ იუნფენმა ცოლს ერთი წლის სამყოფი პროდუქტი დაუტოვა — საკუთარი ხელით მომზადებული „ვარენიკები“, ათობით ლიტრი სუპი და უამრავი სადილი. ქმარმა საკვების მცირე ულუფები სახლში ყველგან მიმოფანტა, ცოლმა ნებისმიერ დროს რომ შეძლოს წახემსება — მაგალითად, საყვარელ დივანთან, ქიშმიშით სავსე ქილა დატოვა და გულისამაჩუყებელი წერილიც დაურთო: „ძვირფასო, ისე იღლები სამსახურში და სახლში დაბრუნებულიც იმდენს კითხულობ, რომ მინდოდა, ცოტათი მაინც შემემსუბუქებინა ცხოვრება“.

ᲡᲣᲓᲝᲙᲣ ᲨᲔᲜᲘᲐ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

						7		2
	4		7		2	1		
		6			9			
		2					6	3
	3	1				4	7	
7	6					5		
			5			3		
		7	2		3		4	
3		9						

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

			9				8	
7			4					9
	8		6	1			5	4
	1							
		2	5		3	8		
							4	
9	6			7	4		2	
3					6			1
	4				9			

ᲠᲗᲣᲚᲘ

	4	5		9	2	8		
	1							
		7						
4			1	8				7
		2	5		4	3		
9				2	6			4
						9		
							3	
		4	2	5		1	8	

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

8			6					5
6	5				2	1		
	2	1		7	5			
	8		4			3		
		3				9		
		2			3		7	
			7	4		8	5	
		8	2				1	6
4					6			2

ხელფასი თანამშრომლებს გაუნაწილა

ამერიკული კომპანია Gravity Payments-ის დამფუძნებელმა დენ პრაისმა საკუთარი წლიური შემოსავალი 93%-ით — მილიონი დოლარიდან 70 ათას დოლარამდე შეამცირა, რათა ქვეშევრდომებისთვის გასამრჯელო გაეზარდა. მანამდე 30 წლის პრაისის თანამშრომლები წელიწადში დაახლოებით 48 ათას დოლარს იღებდნენ. ახლა კი, მეწარმემ მიიღო გადაწყვეტილება და ყოველი მათგანის ხელფასი 70 ათასი დოლარი იქნება. როგორც ერთ-ერთი გაზეთი წერს, ამ მიზნის მისაღწევად კომპანიის მფლობელს არა მხოლოდ შემოსავლის შემცირება, არამედ წლიური შემოსავლის დიდი ნაწილის გაღებამაც მოუწია. მომავალი სამი წლის განმავლობაში პრაისი შეკვეცილ ხელფასს მიიღებს და ხელქვეითებისთვის დაახლოებით 2,2 მილიონს დახარჯავს წელიწადში. როგორც ფირმის ხელმძღვანელი აცხადებს, მობეზრდა თანამშრომლების წუწუნი რთულ ფინანსურ მდგომარეობაზე. თანაც, სტატია წაიკითხა, სადაც ნათქვამი იყო, რომ ბევრ ფულს არ მოაქვს ბედნიერება, მისი უკმარისობა კი ხალხს აუბედურებს. სტატიის ავტორები ამტკიცებდნენ, რომ ცხოვრებით კმაყოფილების შეგრძნებისთვის ოპტიმალური ხელფასი წელიწადში 70 ათასი დოლარია. პრაისმა კომპანია 2004 წელს დააფუძნა, როდესაც 19 წლის იყო, ამჟამად კი 120 თანამშრომელი ჰყავს.

ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲜᲘᲭᲘ ᲗᲕᲐᲚᲔᲑᲨᲘ ᲔᲢᲧᲝᲑᲐ

აღმოჩნდა, რომ ადამიანის ნიჭის გარკვევა ტესტირებისა თუ სხვა ეშმაკური გამოკითხვების გარეშეც ყოფილა შესაძლებელი — საკმარისია, თვალებში ჩახედოთ და თვალის ფერი გაიგოთ. როგორც ამერიკელმა სწავლულებმა დაადგინეს, ყველაზე ნიჭიერები ცისფერთვალა ადამიანები არიან. ლუისვილის უნივერსიტეტის მკვლევარებმა უნიკალური ექსპერიმენტი ჩაატარეს, რომელშიც მონაწილეობა რამდენიმე ათასმა ადამიანმა მიიღო. ისინი ერთი კრიტერიუმით — ცისფერი თვალის გამო შეარჩიეს და აღმოჩნდა, რომ ცხოვრებაში უფრო წარმატებულები იყვნენ, საკუთარი კარიერითა და ფინანსური მდგომარეობით. კმაყოფილი ყავისფერთვალა ადამიანი კი გაცილებით ცოტა აღმოჩნდა. მკვლევარები ასევე მიიჩნევენ, რომ ცისფერთვალა ხალხი წარმატებულია მძიმე პროფესიების ათვისებასა და სწავლაში. ისინი მრავალმხრივი ნიჭით გამოირჩევიან და ადვილად იგებენ საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენლების გულს. ცისფერთვალიან ადამიანებს ხშირად უმართლებს სპორტის ისეთ სახეობებში, როგორიცაა ჰოკეი და გოლფი. ჯერჯერობით მეცნიერებმა ვერ მოუძებნეს ახსნა ამ ფენომენს. ამოცანის ამოხსნას ისიც ართულებს, რომ თვალის ფერი მემკვიდრეობითია, მაგრამ რთული გენეტიკური კომბინაციების შედეგია და ხშირად რამდენიმე თაობის შემდეგ ვლინდება.

რწყილების გამო მანქანები დაწვა

ნიუ იორკის მკვიდრმა უნებურად საკუთარი ავტომანქანა გადაწვა, როცა რწყილებისგან მის გათავისუფლებას ცდილობდა. ნაცნობის რეკომენდაციით, 44 წლის სკოტ კემერიმ მანქანის სალონში ალკოჰოლური სასმელი მოასხა, რომელსაც მწერები უნდა გაედევნა, მერე კი ჩაჯდომა და გაბოლება გადაწყვიტა. შედეგად სატრანსპორტო საშუალება აალდა, კემერიმ გადმოსვლა მოასწრო, მაგრამ მაინც მიიღო პირველი და მეორე ხარისხის დამწვრობა. ინციდენტი ერთ-ერთი სავაჭრო ცენტრის ავტოსადგომზე მოხდა, სადაც ამერიკელმა სასმელი შეიძინა. გარდა თავისი მანქანისა, რომელიც იჯარით ჰქონდა აღებული, გვერდით მდგომი კიდევ ორი ავტომობილი დაიწვა. რა სასჯელი ელის კემერის, ჯერჯერობით უცნობია.

ᲬᲘᲜᲐ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ ᲒᲐᲡᲣᲚᲘ ᲡᲙᲐᲜᲕᲝᲠᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲣᲓᲝᲙᲣᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

7	2	9	4	5	1	6	3	8
1	8	6	9	3	2	7	5	4
5	4	3	8	7	6	2	1	9
9	7	2	1	8	5	4	6	3
4	6	8	3	9	7	1	2	5
3	1	5	6	2	4	9	8	7
8	5	4	2	1	9	3	7	6
6	3	1	7	4	8	5	9	2
2	9	7	5	6	3	8	4	1

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

7	9	8	5	6	4	3	2	1
3	1	6	2	8	9	7	5	4
5	2	4	7	3	1	6	9	8
6	3	5	1	9	2	4	8	7
4	8	9	3	7	6	2	1	5
2	7	1	8	4	5	9	3	6
1	5	7	6	2	3	8	4	9
9	6	3	4	1	8	5	7	2
8	4	2	9	5	7	1	6	3

ᲠᲗᲣᲚᲘ

7	8	1	9	6	3	5	4	2
4	6	5	2	1	8	3	9	7
9	3	2	7	5	4	6	8	1
6	1	9	5	8	7	4	2	3
8	7	4	3	2	1	9	6	5
5	2	3	6	4	9	1	7	8
3	5	8	4	9	2	7	1	6
2	9	7	1	3	6	8	5	4
1	4	6	8	7	5	2	3	9

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

1	2	9	8	7	6	5	4	3
8	7	3	2	5	4	1	9	6
6	4	5	1	3	9	8	2	7
9	1	4	3	2	8	7	6	5
7	8	2	6	1	5	9	3	4
5	3	6	4	9	7	2	1	8
4	9	8	5	6	2	3	7	1
3	6	7	9	8	1	4	5	2
2	5	1	7	4	3	6	8	9

მე-12 გვერდი: 1. ბისექტრისა; 2. როტორი; 3. ბალეტი; 4. სენტენცია; 5. ქლიბი; 6. რეკვიემი; 7. ბადმინტონი; 8. ტალი; 9. სლენგი; 10. რეისი; 11. დაივინგი; 12. კოდალა; 13. ძეობა; 14. ბოისე; 15. ძილი; 16. მტრედი; 17. ფიცი; 18. ნეტო; 19. იკებანა; 20. იენა; 21. საბო; 22. ვისი; 23. საბო; 24. პრერია; 25. აზატი; 26. ანა; 27. ინინი; 28. რვალი; 29. იაიკი; 30. პელე; 31. ენძელა; 32. „იუვენტუსი“; 33. ეკალი; 34. გრადუსი; 35. ნოე; 36. გერბი; 37. უზი; 38. ემულსია; 39. ვან; 40. ლიძავა; 41. ორიენტირი; 42. ისლანდია; 43. ერე; 44. მოკასინი; 45. ემი; 46. სტეკა; 47. „კლონი“; 48. ულუ; 49. ადამი; 50. ნალჩიკი; 51. აბაი; 52. ოილ; 53. ლიანა; 54. ასტრა; 55. სილა; 56. გეა; 57. ფერმატა; 58. სოს; 59. რასელი; 60. სცილა; 61. სასკია; 62. სარი; 63. ობი; 64. ადიდა; 65. ნინია; 66. სია;’67. ამაო; 68. არე; 69. „ტამანგო“; 70. მაია; 71. დოტაცია; 72. ეზო; 73. ცია; 74. დიორამა; 75. ნიკი; 76. ბუ; 77. ურო; 78. გურამ; 79. ტრაკაი; 80. ვაზა; 81. კოლეგია; 82. ეტა; 83. უხა; 84. აგატა; 85. ცა.

ბალიში ზარმაცებისთვის

ერთ-ერთ ჩინურ საიტზე ახალი გამოგონება გაჩნდა — „ჭკვიანი“ ბალიში „დარმა“ მათთვის, ვისაც ცხოვრების მჯდომარე წესი აქვს. მრავალრიცხოვანი გაჯეტებისგან განსხვავებით, რომლებიც მომხმარებლის აქტიურობის დონეს განსაზღვრავს, ეს მოწყობილობა სიზარმაცეზე ფოკუსირდება სენსორების საშუალებით. ბალიშის შექმნაზე ავტორებმა ხუთი წელი დახარჯეს და როგორც ირწმუნებიან, ის აფიქსირებს სუნთქვას, პულსს, სტრესის დონეს უფრო ზუსტად და ეფექტურად, ვიდრე სხვა მოწყობილობები. მობილურთან დაკავშირებული ბალიში მფლობელს არ აძლევს წონის მომატების საშუალებას — მომხმარებლის ჩვევების შესწავლის შემდეგ, „დარმა“ მფლობელს კარნახობს დასაჯდომად სწორ პოზას, შეახსენებს, როდის უნდა ადგეს, აძლევს რეკომენდაციას ფიზიკური ვარჯიშისთვის. თუკი „ჭკვიანი“ ბალიში სტრესს დააფიქსირებს, სუნთქვით ვარჯიშებს ურჩევს. ბალიშის მასობრივი წარმოება გაისად იგეგემება, გაჯეტის ფასი კი დაახლოებით 200 დოლარი იქნება.



1. ჰაერზე მსუბუქი მართვადი საფრენი აპარატი
2. მეცნიერების ან ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწე
3. ბუდისტური სალოცავი
4. დანაშაულის განმეორებითი ჩადენა
5. კენკროვანი მცენარე
6. კონცხი ფლორიდის შტატში
7. წმენდილი ნატეხი შაქარი
8. რაიმე პროცესის ცალკეული სტადია
9. ქართული ანბანის პირველი ასო
10. დიდი ქართველი მევიოლინე ქალი
11. კ. გამსახურდიას მოთხრობა „ლანდებთან –“
12. თამბაქოს ბოლის ფილტვებში ჩაშვება
13. კაზაკთა ჯგარის უფროსი
14. ჩოხის შიგნით ჩასაცმელი სამოსი
15. სკანდინავიელთა უზენაესი ღმერთი
16. უკრაინელთა ტრადიციული სახლი
17. ავსტრიის დედაქალაქი
18. კათოლიკური მესა „..., მარია!“
19. ფასიანი ქაღალდების გამოშვება
20. ცხოველთა მეფე
21. უკრაინის პარლამენტი
22. თხის ხმიანობა
23. იგივეა, რახ კახპა
24. „ნაუტილუსის“ კაპიტანი
25. ბადმინტონის სათამაშო ბურთი
26. თვალის ფერადი გარსის ანთება
27. ქალაქი იმერეთის მხარეში
28. ხელის მტევნის შიგნითა ნაწილი, რომელზეც ქირომანტები მკითხაობენ
29. ცნობილი რუსი სუპერმოდელი
30. ილია ჭავჭავაძის მოთხრობა „ნიკოლოზ ...“
31. უძველესი ქალაქი შუამდინარეთში
32. რუსი მოგზაური ნიკოლოზ მიკლუხო-...
33. იაპონელი კინორეჟისორი ... კუროსავა
34. პარკოსანი მცენარე
35. პუშკინის გადიის სახელი
36. ზღვის თავფეხიანი მოლუსკი
37. ებრაული შვიდსანთელა
38. პოეზიის ჟანრი
39. ქიმიური ელემენტი, ლიითონი
40. წუთის მესამოცედი
41. გრძელ დისტანციაზე მორბენალი სპორტსმენი
42. დიდი რუსი ბალეტრინა
43. მზის ღმერთი ძვ. ეგვიპტურ მითოლოგიაში
44. ქართული ვაზის ჯიში
45. უცოლშვილოდ დაბერებული მამაკაცი
46. დაავადების განვითარების უმაღლესი მწვერვალი
47. იგივეა, რაც შუშა
48. ინდოეთში გადახვეწილი რუსი მხატვარი
49. კულტურული, ისტორიული და ლინგვისტური რეგიონი სამხრეთ-დასავლეთ გერმანიაში
50. რამინის სატრფო
51. ბაღი ძველ ქართულში
52. აშშ-ის შტატი
53. ვანოს მეგობარი გოგონა
54. საბავშვო პოეტი ... მღვიმელი
55. გერმანიის საფეხბურთო კლუბი
56. სამხრეთ-დასავლეთის ძლიერი ქარი
57. იაპონიის უდიდესი ტბა
58. ლოგინის შემადგენელი ნაწილი
59. „როკ-ენ-როლის“ მეფის სახელი
60. ვიეტნამის დედაქალაქი
61. სკუმბრიის მეორე სახელი
62. თბილისის ერთ-ერთი უბანი
63. ჰოლივუდის მსახიობი კიანუ ...
64. ყველაზე გავრცელებული ქრომოსომული დაავადება
65. ევროპული ფეხბურთის სახელწოდება აშშ-ში
66. ოპერა „კარმენის“ კომპოზიტორი
67. იგივეა, რაც ტრფიალი, ფლირტი
68. სამოას დედაქალაქი
69. უძველესი ჩინური საბრძოლო ხელოვნება
70. ღვინო, რომელსაც ზიარების დროს სმარობენ
71. სოფელი აფხაზეთში
72. ათენის საფეხბურთო კლუბი
73. ხის ან ბუჩქის გამონაზარდი
74. პლანეტა იუპიტერის თანამგზავრი
75. მშვენიერი ჭაბუკი ბერძნულ მითოლოგიაში
76. ფართოდ რეკლამირებული კბილის პასტა
77. ორი წერტილი კამათელზე
78. მდინარე აღმოსავლეთ საქართველოში
79. ჩიტის სახელწოდება ძველ ქართულში
80. ევროპელ ებრაელთა ენა
81. პატარა ვიდეორგოლი

უჩვეულო ფეხსაცმელი ღარიბი ბავშვებისთვის

ზოგჯერ უბრალო მიგნებას შეუძლია მილიონობით ადამიანის ცხოვრება შეცვალოს. სწორედ ასეთი გამოგონებაა „სანდლები“, რომელიც ახალგაზრდა მამაკაცმა, კენტონ ლიმ შექმნა — ფეხსაცმელი ხუთი ზომით შეიძლება გაიზარდოს და იმ ბავშვებისთვისაა განკუთვნილი, ვინც მსოფლიოს უღარიბეს ქვეყნებში ცხოვრობენ და ხშირად ფეხშიშველი დადიან. მათი რიცხვი დაახლოებით 300 მილიონს აღწევს. „სანდლების“ ავტორს მიაჩნია, რომ ასეთი წყვილი ფეხსაცმლის ტარება ბავშვს, სულ ცოტა, ხუთი წლის განმავლობაში შეეძლება. უამრავი პატარაა, რომელსაც უსახსრობის გამო, გაცილებით დიდი ზომის ფეხსაცმლის ტარება უწევს, ანდა საერთოდ, ფეხშიშველი დადის. ბავშვებს ფეხი სწრაფად ეზრდებათ, „მზარდი სანდლებით“ კი ამ პრობლემას მოვაგვარებთ, — ამბობს კენტონ ლი.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
გიორგი იაშვილი, მერაბ ბერიძე.
სტილისტი – ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.